წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

პარასკევი, 29 აპრილი, 1921 წ.

№ 48 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვრანგელის დასასრული

„ფუჭი ოცნება იქნებოდა გვეფიქრა თითქოს ბალშევიკების დამარცხება შეაძლებელი იყოს რუსული და უცხო შეიარაღებული ძალებით, რომელთა დასაყრდნობი ბაზა იქნება რუსეთს გარეთ და ისიც ისეთი სალდათებით, რომლებიც, თეთრი არმიის საუკეთესო მდგომარეობაშიაც ყირიმში, ვერ გაუმაგრდენ საბჭოთა ჯარებს".

საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური განცხადებიდან.

საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია თავის ბრძოლაში რუსეთის რევოლიუციის წინაამდეგ ეყრდნობოდა ამდენ ხანს უმთავრესათ ძველი თვითმპყრობელური იდეის მატარებელ ელემენტებზე. მხოლოთ საზღვარ გარეთის დახმარებით იკვებებოდა და სცოცხლობდა რუსეთის შინაური კონტრ-რევოლიუცია, რომლის მატერიალური რესურსები მოსპო განსაკუთრებით ოქტ. რევოლიუციამ დ მისმა ძლევამოსილმა მსვლელობამ და რომელიც შეჩვენებული შეიქმნა მთელი ერის მიერ. ეს დახმარება გამოიხატებოდა ფულში, შეიარაღებაში, ინსტრუქტორებში და ხშირათ თეთრი არმიის ხელმძღვანელ კადრების უცხო ელემენტებით შევსებაში. გარდა ამისა მოკავშირეებმა იცნეს კოლჩაკის მთავრობა და საფრანგეთმა ოფიციალურათ ვრანგელის მთავრობაც ყირიმში, რამაც ერთი ალიაქოთი გამოიწვია საფრანგეთის „დემოკრატიაში", უმთავრესათ მის მუშათა კლასში და, როგორც ცნობილია, დათავდა მთავრობისათვის დიდი საპარლამენტო სკანდალით. მოკავშირეთა გაბატონებული კლასები გამოდგნენ საკმაოთ ძლიერნი, რომ მათი დახმარება გამოხატულიყო ზემოთ დასახელებული სახით, ჩაეყარათ რუსეთის რეაქციონურ ქურდებისა და მფლანგველების ხელში ის მატერიალური რესურსები, რომლებიც მათ სამხედრო უწყებების უკონტროლო განკარგულებაში იმყოფებოდნენ ომის დროის პირობების გამო მარა ისინი იყვნენ უძლურნი, რომ რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის სისხლის დასაღვრელათ გადაესროლათ რუსეთში თავის ქვეყნების მშრომელი ხალხის შვილები. რუსეთის რევოლიუციამ ჰპოვა საკმაო გამოხმაურება მთელ მსოფლიოში, მის მუშათა კლასში, რომ ეს მოსახერხებელი ყოფილიყო მათ დღევანდელ ბატონ-პატრონებისათვის.

მთელი ეს კონტრ-რევოლიუციონური კამპანია დათავდა საშინელი დამარცხებით ყველა აქტიურათ მებრძოლი ძალებისათვის რუსეთში და, განდევნილნი იქიდან, ეს შავი ლანდები აქა იქ დაძვრებიან დღეს ბოსფორის ნაპირებზე ან და შეექცევიან ზოგ ბედნიერ გამონაკლისათ მათთვის მიჩნეულ თბილ ადგილებს ევროპის რეაქციის სატახტო ქალაქებში უკეთესი მომავლის მოლოდინში.

ევროპის ბურჟუაზია დარწმუნდა ოთხი წლის მწარე გამოცდილების შემდეგ, რომ დაყრდნობილი რუსეთის შავ ძალებზე ის ვერ მიაღწევს საწადელს და ცდილობს გასწყვიტოს კავშირი მათთან და სხვა გზით, სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დახმარებით შემოუაროს რუსეთის რევოლიუციის მისთვის დღემდი მიუვალ სიმაგრეს. ამით არის ნაკარნახევი ახალი დამოკიდებულება დენიკინის არმიიდან გადარჩენილ ნაკუწების მიმართ, რომლებიც გაფანტული არიან კონსტანტინოპოლში და მის მიდამოებში. ბრიანის მთავრობა უსპობს მათ თითქოს დღეს მატერიალურ დახმარებას, ის აცხადებს, რომ ყირიმის დატოვების შემდეგ მოკავშირეები საერთო თანხმობით აღარ სცნობენ ვრანგელის მთავრობას, რომ მათ არ მოეპოებათ სპეციალური თანხები, კონსტანტინოპოლის რაიონში მოთავსებულ ვრანგელის ჯარის დარჩენილ ნაწილებისთვის გადადებული. საფრანგეთს დღეს შეუძლებლათ მიაჩნია ისიც, რომ ეს ნაწილები დატოვებულ იქნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე რადგან ეს სახიფათოა კონსტანტინოპოლისთვის და—მივაქციოთ ყურადღება—„ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას"-ო. „საერთაშორისო უფლება"—ეს ისეთი რამ არის რაც ერთნაირათ გამოსადეგია ამ უფლების ავტორებისათვის როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ემზადებიან მორიგ ავაზაკობისათვის, ისე მაშინაც, როდესაც ასეთ ავანტიურაში კისერს იმტვრევენ. ამ საერთაშორისო უფლებით სურთ დღეს დამალონ თავის საძაგელი სიტიტვლე ბრიანმა და კომპანიამ და ეჭვს გარეშეა მასვე მოიშველიებენ ისინი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც დიდი ხნის ცდის შემდეგ მოახერხებენ—თუ ეს შესაძლებელი შეიქნა—დარაზმონ ახალი ეგრედ წოდებული რუსეთის „დემოკრატიული" ძალები თავის ძველი მიზნის მისაღწევათ. ეს მუშაობა კარგი ხანია სწარმოებს რუსეთის ეს-ერებში და მენშევიკებში. ამ მუშაობას თავის ისტორია აქვს უკვე კოლჩაკის დროიდან დაწყებული ვიდრე კრონშტადტის უკანასკნელ აჯანყებამდე, სადაც მათივე ოფიციალური ორგანოების და პასუხისმგებელ „მოღვაწეების" მოწმობით აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ეს კონტრ-რევოლიუციონური პარტიები.

ამნაირათ რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ევროპის ბატონ-პატრონები ხელს იღებენ ძველ გეგმებზე და კერძოთ საფრანგეთის მთავრობის წრეებში დღეს ლაპარაკიც არის საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაზე, როგორც ეს უკვე მოახდინა მისმა მოკავშირე ინგლისმა. ვრანგელიადა დ თავდა სამარცხვინო და სასტიკი დამარცხებით რუსეთის რეაქციისა და მისი სულის ჩამდგმელებისთვის. დღეს ფაქტიურათ მის გზაზე არის დამდგარი საქართველოდან გაქცეული მენშევიკური მთავრობა, რომელიც ისევე, როგორც მეფის გენერალი, დახმარების ძებნაშია ჩართული ევროპაში საქართველოზე უცხო ძალებით შემოსასევათ. ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ მათ მუხანათურ ცდასაც ეწვევა ის ბედი, რომელიც ეწვია რუსეთის რეაქციას და მის მეთაურს.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

**მუშურ-გლეხურ ინსპექციის მუშაობის მეთოდები**

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტით 1920 წლ. 7 თებერვლიდან მოხდა სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაცია, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში. ამ დეკრეტით სახელმწიფო კონტროლი, გადაკეთებულია სოციალისტურ კონტროლის ერთიან ორგანოთ, რომელშიაც უშუალო მონაწილეობას ღებულობენ მუშების და გლეხების ფართო მასსები და რომელსაც მიეთვისა „მუშურ-გლეხური ინსპექციის" სახელწოდება. ამასთან ერთად გაფართოებული იყო მუშურ-გლეხურ ინსპექციის ორგანოების უფლებები და მოვალეობანი; მათ მიენიჭათ ფართე შესაძლებლობა სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოების ფაქტიურ კანტროლისა, როგორც საქმეების კანონიერად წარმოების მხრით, ისე აგრეთვე საქმეების მიზან შეწონილობის მხრივაც. განვლილ წელიწადში, წლიდან ამ დეკრეტის გამოცემისა ძალიან ცოტაა გაკეთებული. მუშურ-გლეხური ინსპექციის ორგანოებმა არა თუ მარტო ვერ შესძლეს მიეღწიათ რამოდენიმეთ მაინც ფართე მასშტაბით იმათ წინაშე მდებარე მიზნებისათვის, რათა მუშები და გლეხები სახელმწიფოს მმართველობის საქმეში პრაქტიკულად ჩარეულიყო, არამედ ხშირად ვერ იდგნენ ნამდვილ მუშურ-გლეხურ სოციალისტურ კონტროლის აპარატების საკმაო სიმაღლეზე, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფო აპარატი მის მუშაობის პროცესში, დაეხმაროს მას მძიმე საქმეებში და შეურყეველი ხელით გაასწოროს მისი შეცდომები. საბჭოთა ხელისუფლების ღერძი-კომუნისტური პარტია იძულებული იყო ყოველთვის გამოეყო თავის წევრებისაგან საუკეთესო ძალები ფრონტზე გასაგზავნად ან სამუშაოდ იმ მცირე რიცხოვან სამოქალაქო დაწესებულებებში, რომლების მუშაობა შეკავშირებული იყო თავდაცვის საქმესთან. მხოლოდ ეხლა მუშურ-გლეხურ ინსპექციის წინაშე იშლება ფართე შესაძლებლობა შეიქმნეს ნამდვილ სოციალისტურ კონტროლად და გამოიყენოს ამისთვის გლეხების და მუშების ფართე მასსების დიდი საზოგადოებრივი გამოცდილება. სოციალისტური კონტროლის იდეა გამოიხატება არა იმაში, რომ დაჭერილ იქნეს თითეული ბოროტმოქმედი, ან თითეული დარღვევა კანონის ასოსი, არამედ იმაში, რომ მუდმივის სახელმწიფო ორგანიზმის ყოველ კუნჭულის მეთვალყურეობით და ქვემდებარე დაწესებულებათა მოქმედების ყოველ მხრივ გასინჯვით უნდა დახმარება გაეწიოსთ მათ თავიანთ შეცდომების შემჩნევასა და გასწორებაში; აგრეთვე ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული უწყებრივ გზადაბნეულებას და უსიცოცხლო კაბინეტურ მცონარეობას, უნდა შეთანხმებულ იქნეს ერთმანეთთან სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობა, რათა ეს უკანასკნელი მუშების და გლეხების მასიურ გამოცდილების საშუალებით დაუახლოვდეს სინამდვილის პირობებს და შესაძლებლობას; ამასთან, ერთად მასსიურ-საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივი გავლენით პსიქოლოგიურად შეიქნეს ისეთი პირობები, რომ შემცირდეს და შეძლების და გვარად აღმოფხვრილ იქნეს ყოველივე უსინდისობა და ხელისუფლების აგენტების ანტი სოციალისტური მოქმედება. ამ მძიმე ამოცანას მუშურ-გლეხურ ინსპექციის ორგანოები წარმატებით შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი თავიანთ მოქმედებაში მჭიდროდ დაუკავშირდებიან პროფესიონალურ კავშირებს, კომუნისტურ პარტიის კომიტეტებს, კომუნისტურ უჯრედებს (იაჩეიკებს) და აღმასრულებელ კომიტეტებს. ამიტომ მუშურ-გლეხურ ინსპექციის ორგანოები ადგილებზე, რაც შეიძლება ხშირად, უნდა უკეთებდნენ აღმასრულებელ კომიტეტების პლენუმებზე, საბჭოთა და პროფესიონალურ კავშირთა კრებებსა და კონფერენციებზე და აგრეთვე მუშების საერთო კრებებზე მოხსენებებს თავიანთ მოქმედებაზე, ქვემდებარე დაწესებულებათა მუშაობაში შენიშნულ დეფექტებსა და ამ უკანასკნელთა მოსპობის საშუალებაზე. ასეთი მოხსენებები იქნებიან მუშურ-გლეხურ ინსპექციის იდეის პოპულიარიზაციის საუკეთესო საშუალება და ამ რიგად ადვილი იქნება მუშების და გლეხების ფართე მასსების მასში შეყვანა. მუშების და გლეხების საკონტროლო ორგანოებში მუშაობის დროს განდევნილი უნდა იქნეს უსისტემო და უნაყოფო ძალების გამოყენება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირად რევიზორებს ავალებენ წვრილმან საკონტროლო საქმეებს. არაფერი ისეთ უარყოფით გავლენას არ ახდენს ინსპექციის ავტორიტეტზე, როგორც ჩვენი ორგანოების უუნარობა მიზანშეწონილად გამოიყენონ გაგზავნილი ამხანაგები, უაზრო გადაყვანა ერთი სამუშაოდან მეორეზე, ან როგორც ეს ხშირი მოვლენა არის, რამდენიმე ხნის განმავლობაში იმათი სრულიად უსაქმოდ დატოვება. აუცილებელია, წარმოგზავნილი მუშები და გლეხები (ზოგ საინტერესო შემთხვევებში, მ. გ. ინსპექციის ამორჩეულ წევრებს გარდა მუშების და გლეხების ფართე მასსებიც) უნდა მონაწილეობას ღებულობდნენ სახელმწიფოებრივ ორგანოების (მოქმედების) ცალკე დარგების (უბრალო გეგმების განხილვაში მაგალითად, პრადუქტების განაწილების წესი ბარათებით, წესი და პირობები სასურსათო ორგანოების პრადუქტების შენახვისა, დამზადება და განაწილება სათბობი მასალისა; სამკურნალო დახმარება, მუშაობა სამეურნეო კომიტეტების და სხვანი.) თითეული ასეთი განხილვა უნდა იყოს წინასწარ კარგად შემუშავებული მუშურ-გლეხურ ინსპექციის ადგილობრივ ორგანოს მიერ, განსაზღვრული უნდა იყოს იმისი სივრცე, ხასიათი, მონაწილეების რაოდენობა და დრო, რომლის განმავლობაში ის უნდა დასრულდეს. ეს გეგმა უნდა იქნეს შემუშავებული განხილვის მონაწილეთა საერთო კრებაზე, სადაც გადაჭრით უნდა იქნეს განრიგებული მონაწილეთა როლები. ასეთ მასსიურ განხილვის შედეგებს აუცილებლად საჭიროა ერთად თავი მოეყაროს და დაუყონებლივ ზომები უნდა იქმნეს მიღებული მუშების მიერ შენიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად. უდიდესი უფლებრივი გარყვნილება და მუშურ-გლეხურ ინსპექციის ავტორიტეტის დამდაბლება იქნებოდა მუშების მიერ აღმოჩენილი დეფექტების უყურადღებოთ დატოვება. უმჯობესია არ დაიწყოს განხილვა, ვინემ საქმის გათავების შემდეგ შენიშნული დეფექტები დარჩეს გაუსწორებელი. ამჟამად საქმეების მიღებასა, დათვალიერებასა და ლიკვიდაციაში მონაწილეობის მისაღებად დიდი დრო და ენერგია იხარჯება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქვემდებარე დაწესებულებათა მიერ თავიანთი ზოგადმიზნების ასრულებას, არა — სათანადო ასრულების მიზეზების შესწავლას და ამ მიზეზების მომსპობ ზომების გამონახვას. კერძოთ თაღლითობასა და ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად მუშურ გლეხურ ინსპექციის ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა ორგანოებში საქმის წარმოების და ბუხჰალტერიის დაყენების შესწავლას, მათი გამარტივების მიზნით, დაწესებულებებში შრომის დისციპლინის გატარების გაცნობას, საქმეთა წარმოების წესს და სხვ. თაღლითობის განსაკუთრებული შემთხვევები საზოგადოების საყურადღებოდ მიტინგებზე და მუშათა კრებებზე უნდა იქნეს გამოქვეყნებული, იმავე დროს უნდა აღინიშნოს კარგი მუშაობა და სწორედ საქმის დაყენება სხვა დაწესებულებებში. როცა აღმასრულებელ კომიტეტების და საბჭოების პლენუმებში გაკეთებული იქნება მოხსენებები განყოფილებათა მოქმედებაზე, მაშინ მუშურ გლეხურ ორგანოებმა უნდა წამოაყენონ თავის მხრივ საქმის კარგად მცოდნე თანამომხსენებლები, რომლებმაც ფაქტებით ხელში უნდა გააშუქონ დაწესებულების მთელი მოქმედება. მუშურ-გლეხურ ინსპექციის წარმომადგენელნი უნდა ესწრებოდნენ ყველა საპასუხისმგებლო თათბირებს, კოლეგიების და პრეზიდიუმების საქმიან კრებებს, რომ ამა თუ იმ საქმესთან მისი დაწყების პროცესიდანვე იყვნენ გაცნობილნი. სასურსათო და სამეურნეო საქმეების გარჩევის დროს სასურველია მონაწილეობა მიიღონ მუშურ გლეხურ ინსპექციის ჩვეულებრივმა წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოგზავნილი არიან ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან. თანახმად 7 თებერვლის 1920 წლ. კანონისა, აუცილებლად უნდა იქნენ გამოწვეული გლეხები და მუშები სოფლებიდან, ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან სამაზრო, საგუბერნიო და ცენტრალურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა მოქმედების გასაცნობად. ყოველ ასეთ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნას და განიხილოს მუშაობა იმ დაწესებულებათა, რომელნიც აინტერესებენ მის ამომრჩევლებს. აუცილებლად სარევიზიო მუშაობის წინანდელი გამო-გამოცდილება მიღებულ უნდა იყოს მხედველობაში ყველა ორგანოების მიერ, ისინი ადგილებზე მთავარ ყურადღებას მიაპყრობენ ადმინისტრატიულ და სამეურნეო დაწესებულებათა მოქმედების მასსიურ განხილვას. ასეთი განხილვა უნდა ვრცელდებოდეს ყველა ერთგვარ დაწესებულებებზე და ოპერაციებზე ან რაიონის ტერიტორიის მეურნეობის მთელ დარგზე. მუშურ-გლეხურ ინსპექციის ორგანოების მუშაობის მეთოდების მთლიანობის დასაცავად და მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის სახელმძღვანელო მოქმედების შესამსუბუქებლად მუშურ-გლეხურ ინსპექციის ადგილობრივი განყოფილებები ვალდებული არიან ყოველთვიურად წარადგინონ სახალხო კომისარიატში თავის მოქმედების ანგარიშები, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ამა, თუ იმ მეთოდების შედეგები.

„უწყებები" ს. რ. ც. ა. კ., № 31

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. სტალინის უკანასკნელი სიტყვა ეროვნულ საკითხზე.**

**სტალინი.** ამხანაგებო! ყველაზე უფრო დამახასიათებელი ჩვენი ყრილობისათვის ეროვნულ საკითხის გარშემო გამართულ მსჯელობაში არის ის, რომ დეკლარაციებისა და რუსეთის ადმინისტრატიული გადაჯგუფების შემდეგ, ჩვენ პრაქტიკულად დავსვით ნაციონალური საკითხი. ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისში ჩვენ არ გავსცილებივართ დეკლარაციებს სხვადასხვა ხალხის რუსეთიდან გამოყოფის უფლებების თაობაზე. 1918-სა და 1920 წ., ჩამორჩენილ ხალხთა მშრომელი მასების პროლეტარულ რუსეთთან დაახლოვების მიზნით, ჩვენ ვაწარმოებდით რუსეთის ადმინისტრატიულ გადაჯგუფებას ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით, ხოლო ეხლა, ამ ყრილობაზე ჩვენ ვსვამთ საკითხს წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე, იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უნდა აიღოს პარტიამ მშრომელი მასებისა და ბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ, იმ ავტონომიურ ან და დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, რომელთაც ერთგვარი კავშირი აქვთ რუსეთთან.

უნდა ვაღვიაროთ, რომ დელეგატების გამოსვლებისაგან მე მეტს მოველოდი. რუსეთში ოცდაორი განაპირა ქვეყანა მაინც არის, აქედან ერთი ნაწილი სამრეწველო განვითარების ფრიად მაღალ დონეზე სდგას და ამ მხრივ შიდა რუსეთს არც კი ჩამორჩება, მეორე ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუვლია კაპიტალიზმის სტადია და ძირითადათ განსხვავდება ცენტრალურ რუსეთის მდომარეობისაგან, ხოლო მესამე ნაწილი სრულიად ჩამორჩენილია და მივიწყებული. განაპირა ქვეყნების ასეთი მრავალფეროვანების კონკრეტიულად და დეტალურად თეზისებში ასახვა ყოვლად შეუძლებელია. უაზრობაა იმის მოთხოვნა, რომ თეზისები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ პარტიისათვის, მთლიანად იყოს ანარეკლი მარტო თურქესტანის, ან აზერბაიჯანის, ან უკრაინის სინამდვილისა. თეზისებში უნდა შევიდეს ზოგადი, ყველა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მომენტები, ყოველგვარი კერძო მოვლენების გარეშე. სხვაგვარი მეთოდები თეზისების დამუშავებისათვის არ არსებობს.

საჭირო იყო ყველა ერების, გარდა ველიკოროსსთა რამდენიმე ჯგუფებად დანაწილება, რაც არის ჩვენს თეზისებში. არა რუს ეროვნების მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 65 მილიონს. დამახასიათებელი თვისება ყველა ამ ერებისათვის არის ის, რომ საკუთარი სახელმწიფოებრიობის განვითარების მხრივ ისინი ძალზე ჩამორჩნენ ცენტრალურ რუსეთს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ამ ეროვნებათ, მათ პროლეტარულსა და მშრომელ ელემენტებს, საკუთარი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მშობლიურ ენაზე განვითარებისათვის. ეს საერთო და მნიშვნელოვანი მომენტი აღნიშნულია თეზისებში, მის პრაქტიკულ ნაწილში. შემდეგ, თუ გავყევით განაპირა ქვეყნების თავისებურობის განსაზღვრასა და კონკრეტიზაციას, არა რუს ეროვნებათა საერთო რიცხვიდან—65 მილიონიდან—ჩვენ უნდა გამოვყოთ თურქ მცხოვრებთა 30 მილიონი, რომელსაც არ გაუვლია კაპიტალიზმის ხანა. ამხ. მიქოიანი არ არის მართალი იმაში, თითქოს აზერბაიჯანი რუსეთის პროვინციებზე მაღლა და წინ სდგას. ალბათ ამხ. მიქოიანს ერთი და იგივე გონია ბაქო და აზერბაიჯანი. ბაქო აზერბაიჯანის წიაღიდან კი არ წარმოიშვა, ბაქო ზევიდან აშენდა, იგი გამოზარდა ნობელმა, როტშილდმა, ვიშაუმ და სხვ., ხოლო თვით აზერბაიჯანი უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანაა, ჯერ კიდევ ცოცხალი პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობით. ამიტომ აზერბაიჯანი მთლიანად მე მოვათავსე იმ ჯგუფში, რომელსაც კაპიტალიზმის სტადია არ გაუვლია; ამ ჯგუფის საბჭოთა მეურნეობის კალაპოტში მოქცევისათვის ჩვენ საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება.

თეზისებში ესეც არის ნათქვამი.

შემდეგ უნდა აღვნიშნოთ მესამე ჯგუფი, რომლის რაოდენობა უნდა განვსაზღვროთ 8, 10 მილიონით. ეს ხალხი უმთავრესად არ გასცილებია მესაქონლეობის პრიმიტიული მეურნეობასა და კულტურულის საგვარეულო წესწყობილების საფეხურს; მან ჯერ კიდევ არ იცის რა არის მიწათ მოქმედების მეურნეობა. ამ ჯგუფში უნდა ვიანგარიშოთ უმთავრესად ყირგიზები, თურქესტანის ჩრდილოეთი ნაწილი, ბაშკირები, ჩეჩნები, ოსები და ინგუშები. ამ ჯგუფის ეროვნებათათვის საჭიროა უპირველესად ყოვლისა აუცილებელი რაოდენობის მიწის უზრუნველყოფა. ყირგიზები აქ არ ალაპარაკეს, მსჯელობა შესწყვიტეს; ისინი, ამხანაგებო, ბევრ რასმე იტყოდნენ იმ ტანჯვა-წამების შესახებ, რომელსაც განიცდის ბაშკირეთი, ყირგიზეთი და მთიულები მიწის უქონე ბის გამო. ხოლო ის, რასაც აქ საფაროვი ამბობდა ეხება მხოლო 10 მილიონიან მცხოვრებთა მცირ წილს. ამიტომ დანარჩენ ეროვნე მცხოვრებლებზე—ესენი თითქმის მილიონს შეადგენენ — გავრც

# დღეს ნომერში:

**მოსკოვის არჩევნების შედეგი: აირჩიეს 1322 კომუნისტი, 321 უპარტიო და სხვა პარტიების 25.**

**ვრანგელის ჯარის ნაწილს გზავნიან ამერიკაში სამუშაოდ, მსურველებს სამშობლოში აბრუნებენ.**

**რუსი მონარქისტები საზღვარ-გარედ განაგრძობენ თავის შავ მუშაობას რუსეთში მონარქიის აღსადგენად.**

**გერმანიაში კომუნისტები ახალ გამოსვლისათვის ემზადებიან.**

**ჩეხო-სლოვაკეთში გაფიცულია 200.000 სასოფლო მეურნეობის მუშა.**

---

ამხ. საფაროვის პრაქტიკულ წინადადებათა სრულიად მიუღებელია, რადგან მათ ამ ხალხისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ. სწორედ ამ მოსაზრებათა გამო მე, მართალია, არა ვარ წინააღმდეგი საფაროვის მიერ წარმოდგენილ დამატებებისა და საერთოდ თეზისების იმ პუნქტების გაუკეთესებისა, რომელიც ეროვნებათა ცალკე ჯგუფებს ეხება, მაგრამ უსათუოდ წინააღმდეგი ვარ ამ დამატებათა გაუნივერსალებისა და მათი, ყველა განაპირა ქვეყნებზე, გავრცელებისა. შემდეგ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამხ. საფაროვის ერთ შესწორებას, სადაც არის ერთი ფრაზა ნაციონალურ-კულტურულ თვითგამორკვევის შესახებ (კითხულობს). უნდა მოგახსენოთ ამ შესწორების მიღება ჩემთვის შეუძლებელია, ვინაიდან აქ საკმარისად ამოჰქრის ბუნდიზმის სუნი. ბუნდს აქვს ეს ფორმულა: ნაციონალურ-კულტურული თვითგამორკვევა.

ამასთანავე აღნიშნულ ფრაზაში სიტყვების მეტად არა ბუნებრივი შეხამებაა. მე აქ, ამხანაგებო, მაქვს ბარათი იმის შესახებ, თითქოს ჩვენ, კომუნისტები, ხელოვნურად ვაძლიერებთ ბელორუსთა ეროვნებას; ეს არ არის მართალი, იმიტომ, ამხანაგებო, რომ არსებობს ბელორუსთა ეროვნება, რომელსაც აქვს საკუთარი ენა, განსხვავებული რუსულისაგან და მაშასადამე ბელორუსთა ხალხის კულტურის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მშობლიურ ენაზე. ხუთი წლის წინად ასეთსავე გამოსვლებს ქონდა ადგილი უკრაინის, როგორც ეროვნების, შესახებ და სულ მოკლე ხანია მას აქეთ, რაც ლაპარაკობდნენ, რომ უკრაინის რესპუბლიკა არა უკრაინის ეროვნება, გერმანელების გამოგონილი ლეგენდაა. ამავე დროს, უკრაინის ეროვნება უდაოდ არსებობს და მისი კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა კომუნისტების მოვალეობას შეადგენს. ისტორიას პირს ვერ აბრუნებიებ და მის წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელია. თავისთავად ცხადია თუ დღეს უკრაინის ქალაქებში რუსული ელემენტი უმრავლესობას არ შეადგენს, მომავალში ბუნებრივად უნდა მოხდეს ამ ქალაქების სრული გაეროვნება, უკრაინიზაცია.

40 წლის წინად რიგა იყო ნამდვილი გერმანული ქალაქი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ქალაქი იზრდება სოფლის ხარჯზე, ხოლო სოფელი ეროვნების ტაძარია, მისი სიმდიდრის ვინაობის მტკიცე მფარველი, ამიტომ გაზრდილი რიგა დღეს წმინდა ლატიშელთა ქალაქია. 50 წლის წინად უნგრეთის ყველა ქალაქებს გერმანული ელფერი დაჰკრავდათ, დღეს ყველა ქალაქები მადიარებთა ქალაქებია. იგივე მოხდება ბელორუსიაში, სადაც დღეს არამკვიდრი ელემენტები სჭარბობს.

ვათავებ რა ჩემ საპასუხო სიტყვას, წინადადებას ვაძლევ ყრილობას ამოირჩიოს კომისია განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთაგან, თეზისების იმ პრაქტიკულ წინადადებათა მეტი კონკრეტიზაციისათვის, რომელიც აგრე დიდათ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყველა ჩვენი განაპირა კუთხისათვის. (ტაში).

(ყრილობის ანგარიშების გაგრძელება მაისის 3 ს).

## საბჭოთა რუსეთში

**მოსკოვის არჩევნების შემდეგ.**

**მოსკოვი.** 28 აპრილი. (რადიო). მოსკოვის არჩევნები თითქმის დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევნები სრულიად ნათლად არკვევს ამომრჩეველთა სულისკვეთებას და მოსკოვის მომავალ საბჭოს ხასიათს. პირველად ხმების დათვლის დროს 1668 დეპუტატიდან კომუნისტი 1322 გავიდა, უპარტიო—321 და სხვა პარტიების—25, ადამიანს თვალში ეცემა პირველ შეხედვისათანავე მცირე რიცხვი მენშევიკების, მემარცხენე და მემარჯვენე ესერებისა და მონარქისტებისა. ალბად ამომრჩეველთ სრულიად არ სწამთ ამ პარტიებს შემოქმედებითი ძლიერება. ამორჩეულ უპარტიოთა რიცხვი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისინი შეადგენენ 19%, რამ ეს ჯგუფი შესდგება ნამდვილ მუშებისაგან, დაგვრჩენია მხოლოდ მიულოცოთ მას საბჭოს შემადგენლობაში შესვლა. საჭიროა აღინიშნოს ის გამარჯვება, რომელიც ხვდათ კომუნისტებს არჩევნების დროს სტუდენტთა და ინტელიგენციის წრეებს შორის, რომელნიც წარსულში მათ წინააღმდეგ ილაშქრებდენ ან კიდევ [illegible]ორჩევლად უკიდებოდნენ კომუნიზმს. [illegible]ირად, კომუნისტები 79 პროც. [illegible]ენ, ისინი შეასრულებენ ხელმ[illegible] როლს, მაგრამ თავის მუშაო[illegible]მყარებიან უპარტიო ჯგუფსაც. [illegible] ხელისუფლება კომუნისტების [illegible]ბით, რომელიც ენერგიულად [illegible] უპარტიო მშრომელ მასსებს— [illegible]რობა, რომელსაც აყენებს და [illegible] მშრომელთა რუსეთი.

## საზღვარ-გარეთ

**გერმანიის ამბები.**

**ბათუმი.** 25 აპრილი (დეპეშით) „დეილ მეილი" გვაუწყებს გერმანიაში მომხდარ ამბებით საქსონიაში ყველგან გაკრულია გენერალ-გუბერნატორის კორსინგის განცხადება, სამხედრო სასამართლოს დაარსების შესახებ და ამის გარდა ამ განცხადებით ებრძანება ყველა მოსულთ დაუყონებლივ წასვლა და აგრეთვე დახვრეტით ემუქრება ყველას, ვისაც კი რაიმე იარაღი აღმოაჩნდება.

**ახალი აჯანყება.**

**ვარშავა.** 26 აპრილი (რადიო). ცენტრალურ გერმანიიდან მიღებულ ცნობებით კომუნისტები ემზადებიან ახალ აჯანყებისთვის. მთავრობა იძულებულია ფხიზლათ იყვეს.

**ჩეხელი კომუნისტები.**

**პრაგა.** 19 აპრ. ჩეხიის კომუნისტების პირველმა კონგრესმა გამოიტანა დადგენილება ყოველგვარი პირობის გარეშე მე-3 ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

**ჩეხო სლოვაკიის სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა.**

**რიგა.** 25 აპრ. (რადიო). სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვამ ფართე ხასიათი მიიღო. გაფიცულთა რიცხვი 200,000 კაცს უდრის სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა კარპატის... (დამახინჯებულია) მუშათა სრული გამარჯვებით დამთავრდა, რომელთაც მოიპოვეს ხელფასის თვალსაჩინო მომატება.

**კიდევ გაფიცვა.**

**რიგა.** 25 აპრილი. (რადიო). გაიფიცნენ მიუნხენში სატრანსპორტო საზოგადოებათა მუშები. ბარგის შემოტანა შესწყდა.

**ცოცხალი ლეში.**

**სტამბოლი.** 20 აპრილი. საფრანგეთი დარწმუნდა რა ვრანგელის ლაშქრის როგორც სამხედრო ძალის რუსეთი საწინააღმდეგოთ გამოყენების შეუძლებლობაში, სრულიად შესწყვიტა ვრანგელთან ყოველგვარი დამოკიდებულება. გადაწყვეტილია ხელი შეუწყონ ვრანგელის ჯარის კაცების დაბრუნება რუსეთში, მიუხედავათ ვრანგელის პროტესტისა. ჯარის კაცთა სხვა ნაწილი განზრახულია გამოიყენონ მუშებათ ყავის პლანტაციებში სამხრეთ ამერიკაში. კუნძულ ლემნოსთან მზათ დგას 2 ოსმალეთის გემი, რომელიც წაიყვანს იმათ, ვისაც სურს სამშობლოში დაბრუნება.

**მონარქისტები არა სცხრებიან.**

**ბათუმი.** 25-4 (ტელეგრაფით). რომიდან იტყობინებიან: „ჟურნალ-დიტალიაში მოთავსებული დეპეშა ლონდონიდან, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუსეთის მონარქისტები დამარცხებულათ არ სთვლიან თავს. დეპეშაში აღნიშნულია, რომ „მორნინგ-პოსტი" შემდეგსა ჰბეჭდავს. ბერლინში მყოფი რუსი მონარქისტები დიდად აღელვებულნი არიან. მათ მოიწვიეს რუსთა კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დიდმა მთავარმა დიმიტრი პავლეს ძემ, რომელიც ბერლინში ცხოვრობს, როგორც კერძო პიროვნება კრებაზე უფრო აქტიური მონარქისტები ამბობდნენ, რომ რუსეთს მხოლოდ მონარქიული წესი იხსნისო. დიმიტრი პავლეს ძემ უპასუხა, რომანოვთა დინასტია, თანახმა გახდება მიიღოს რუსეთის ტახტი, საყოველთაო კრების თანხმობით, რომელშიაც მონაწილეობას არ მიიღებენ ებრაელები. მონარქიულ წრეებში აზრად აქვთ წამოაყენონ დიმიტრის კანდიდატურა, როგორც კი საბჭოთა ძალა უფლება დაემხობა.

## 1 მაისის თვის

საქართველოს კომპარტიის ცენ. კომ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი თეზისები მომხსენებელთათვის, თემაზე „1 მაისის დღე".

1 მაისი, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო დღესასწაული, დაარსდა პირველად მეორე ინტერნაციონალის პირველ ყრილობაზე პარიზში 1889 წ.

2. ეს დღე შეიქმნა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის სიმბოლოთ.

3. მუშები სტოვებდნენ სამუშაოს და გამოდიოდნენ ქუჩებში ლოზუნგებით: 1) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით, 2) გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, 3) ძირს ომი, 4) ძირს მუდმივი ლაშქარი.

ამ ლოზუნგებში იხატებოდა ერთსულოვნობა და სოლიდარობა. ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა, რომელიც მტრულ განწყობილებაშია კაპიტალისტებთან და მზათ არის ეომოს მათ.

4. მეორე ინტერნაციონალის მეთაურებმა დაივიწყეს თავისი ლოზუნგები და იმის მაგიერ, რომ ომისთვის ომი გამოეცხადებინათ, გაახალეს ძმათა სასაკლაო გამ კვადებული ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა მიერ და ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო" მაგიერ წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს დაცვა". მუშებს მოუწოდებდენ უარი ეთქვათ კლასიურ ბრძოლაზე და შეთანხმებულათ ეცხოვრათ ნაციონალურ ბურჟუაზიასთან. იმის მაგიერ რომ დაეცვათ 8 საათის სამუშაო დღე მოუწოდებდენ მუშებს ყოველ ღონე ეხმარათ სამშობლოს დასაცავათ და გულცივათ უყურებდენ, როგორ იმონებდა მუშათა კლასს ბურჟუაზია.

5. მაგრამ ომის პროცესში ვითარდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა და ინგრეოდა დაწყობილი მთლიანობა. მუშათა კლასი შორდება მეორე ინტერნაციონალს, დარწმუნებული, რომ მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა საქმეს და თავის ტრადიციებს.

6. ბურჟუაზიის გამდიდრება და მუშათა გაღატაკება თანდათან აღრმავებდა კლასობრივ წინაღმდეგობას და ამით ანგრევდნენ დაწყობილ მთლიანობას. რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც იზრდებოდა ყველა სახელმწიფოებში, განხორციელდა ყველაზე ჩამორჩენილ და დანგრეულ მხარეში— რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციის სახით.

7. მთელი ქვეყნის პროლეტარები პოულობენ თავის სამშობლოს მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთში და მოსკოვში ეყრება საძირკველი მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონურ მოქმედებათა ცენტრს.

8. მესამე ინტერნაციონალი აყენებს მთელ ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დაწესებულებისთვის აქტიურ ბრძოლის ლოზუნგს, მოკლე ხნის განმავლობაში მესამე ინტერნაციონალი აძლიერებს და აფართოებს თავის გავლენას და ხდება ბურჟუაზიულ წესწყობილების ნამდვილ მუქარათ.

9. მთელი ქვეყნის პროლეტარები გან დგურებული ომით და ახალ ომების წინაშე მდგარი, რწმუნდებიან, რომ კაპიტალისტთა კლასს არ შეუძლიან მოაწესრიგოს წარმოება და სძლიოს ეკონომიური კრიზისი, გრძნობენ, რომ აუცილებელია თვითონ მიჰყონ ხელი წარმოებას. სოციალისტურ წყობილების განხორციელება დღევანდელ დღის საკითხია.

10. მაგრამ ბურჟუაზია თავის ბატონობას უბრძოლველათ არ დასთმობს. არა პარლამენტში ხელის აწევით გადასწყდება ხელისუფლების გადასვლის საკითხი. ჩვენ ვდგევართ უკანასკნელ ომის წინაშე და მხოლოდ მთელი ძალების მოკრებით, მთელი მსოფლიო მუშათა სრულ სოლიდარობით ჩამოგდებულ იქნება ბურჟუაზიის ბატონობა და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: გაუმარჯოს სამოქალაქო ომს.

11. საქართველოს პროლეტარიატი 1-ლ მაისს ხვდება განახლებულ ცხოვრების განთიადზე. ამ დიად დღეს, მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ ლაშქრის დათვალიერების სიამაყით სთქვას, რომ მან უარჰყო ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გზა და მე-3—ინტერნაციონალთან ერთად დაადგა ბრძოლის, სოციალიზმის ზეიმის და გამარჯვების გზას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს. გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს 1 ლ მაისის დღესასწაულზე გამოვიდნენ შემდეგ ლოზუნგებით:

1. გაუმარჯოს პირველ მაისის დღესასწაულს საბჭოთა საქართველოში.
2. გაუმარჯოს მსოფლიო მშრომელთა განმანთავისუფლებელ პროლეტარულ წითელ არმიას.
3. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს მე-3 ინტერნაციონალს.
4. გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალის წინამძღოლთ.
5. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს ამხ. ლენინს.
6. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.
7. გაუმარჯოს ერთად-ერთ სწორ გამომხატველ მშრომელთა ინტერესებისას კომუნისტურ პარტიას,
8. გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას—მშრომელთა უფლებას.
9. წყევლა და კრულვა მე-2 ინტერნაციონალის წინამძღოლთ—მშრომელთა მოღალატეებს.
10. გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს.
11. ზიზღი და კრულვა მენშევიკების მეთაურთ, რომლებმაც გაცარცვეს საქართველოს მშრომელი ხალხი.
12. გაუმარჯოს ბურჟუაზიის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს მშრომელ ხალხს.
13. გაუმარჯოს შეიარაღებულ მშრომელთა კავშირს მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.
14. მხოლოთ საბჭოთა ძალაუფლებას შეუძლია მოსპოს ეროვნული შუღლი, ეროვნული ომი.
15. გაუმარჯოს კავკასიელ ხალხთა ძმობას.
16. ძირს მსოფლიო მცარცველი იმპერიალისტები, რომლებიც ლამობენ მშრომელთა სისხლში ჩახშობას.
17. გაუმარჯოს აღმოსავლეთის გამოფხიზლებულ ხალხთა რევოლიუციონურ ბრძოლას.

## ამხ ფილ. მახარაძის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

**სოფ. ბახვის არისტოკრატები.**

16 აპრილს საღამოს 5 საათზე შესდგა მიტინგი ბახვში.

სანამ ამ მიტინგზე ვიტყოდე რამეს მეტი არ იქნება, ორი სიტყვა ვსთქვათ თვითონ ბახვზე, მის მცხოვრებთა შემადგენლობაზე.

სოფ. ბახვი დევს თითქმის, გურიის ცენტრში, რომელსაც ერთი მხრით „ბახვის წყალი" ჩამოუდის, მეორე მხრივ „ნატანების წყალი".

ბახვი ბუნებით დაჯილდოებულია. მისი მიწა ბევრად ნაყოფიერია, იძლევა უხვ მოსავალს დანარჩენ სოფლებთან შედარებით. რაც არ უნდა მოუსავლიანი წელიწადი ყოფილიყო აქ ისეთ შიმშილს, როგორც ეს ხშირათ უგემიათ გურიის დანარჩენ მხარეებს, არ განიცდიდენ. ამიტომ იყო რომ ამა თუ იმ ნაცნობ-მეზობლებიდან ხშირათ გვსმენია ხოლმე: ბახვის საზოგადოებას რა უჭირს, ამათ იმდენი მაინც მოუვიდოდათ, რომ თავიანთი თავი უზრუნველეყონო. მართლაც ერთად ერთი სოფელი რომელშიც თავიანთ საკუთრებით, თავიანთი „ზედით" კმაყოფილ იყვნენ გლეხები, იყო ბახვი.

აი ეს ბახვი გაუხდიათ საბუდრათ „ბაზათ" დღეს მენშევიკების ზოგიერთ ტუზებს.

საერთოდ ამბობენ, რომ მენშევიკები „ჭკვიანი", ეშმაკი ხალხიაო და ეს გაამართლა სწორეთ მათმა ბახვში დაბუდებამ.

მათ იციან, ისინი ყნოსვით გრძნობენ —სად არის მათი ადგილი; ვინ შეიფარებს გაჭირვების დროს, ვინ შეუწყობს მათ ხელს.

ორშაბათს 16 აპრილს, აქ გამართულ მიტინგზე ბლომათ იყვნენ გაპარულ „ამხანაგებისაგან" ჩამორჩენილი მენშევიკური პარტიის თვალსაჩინო წევრები.

ამ დღეს ბახვის ეს გმირები გამოცხადებულიყვნენ მიტინგზე, მათ კიდევ მოეყვანათ და ჩაერაზმათ მიტინგის ირგვლივ მათი აგიტაცია-პროპაგანდით ბოლშევიკების წინააღმდეგ აღესილი სკოლის მოზარდი ბავშვები.

საღამოს 5 საათი იყო უკვე როცა ამხ. ან. დოლიძემ მიტინგი გახსნილათ გამოაცხადა.

პირველათ ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარე, ამხ. კვაჭაძე, და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის სახელით მოწაფე ამხ. ქიქოძე, მიესალმენ ამხ. ფილიპე მახარაძეს, როგორც საქართველოს რევკომ ს თავმჯდომარეს, კომუნიზმისთვის ბრძოლაში გაჭაღარავებულ ლიდერს.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპემ, რომელმაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მოფუსფუსე, იქით აქეთ მძრომ მენშევიკების მიერ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მრავალ გვარ საზღაპრო ჭორების ვრცელებას,

დასასრულ გამოვიდა ამხ. ალ. ერქომაიშვილი, რომელმაც, ასევე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. განსაკუთრებით დიდ ხანს შეჩერდა მენშევიკებზე, მათ „მოღვაწეობაზე" წარსულში და უკანასკნელ დროს, როდესაც სახელმწიფო ძალა უფლება ხელთ ეპყრათ. მან მოუყვანა ხალხს მრავალი მჭერმეტყველი მაგალითები მენშევიკების ბატონობის დროიდან, თუ როგორ ატყუილებდენ ხალხს ყველაფერში, თუ როგორ ჰპირდებოდენ ჯერ და მერე იუბნებოდენ ურცხ უარს...

აქ მიტინგის მსვლელობაში, სჩანდა მენშევიკების „ორგანიზაციული ხელი" ობსტრუქციის მოსახდენათ, მიტინგის არასასურველად დათავებისათვის; იყო პროვოკატორული რეპლიკები ამა თუ იმ „უსაქმოთ" დარჩენილ დიდ მენშევიკებისაგან და ცდა ბავშვების ახმაურებით ორატორების ხელის შეშლის. მაგრამ მიტინგის დიდი უმრავლესობა ისე კმაყოფილი იყვნენ წარმოთქმულ გულ ახდილ, პირდაპირი სიტყვებით. საერთოდ, რომ პროვოკატორები სრულებით ვერ ჰპოულობდენ მათში გამოძახილს და ჩალა პირში გამოვლებული რჩებოდნენ; კიდევ მეტი,—ამხ. ფილიპეს დარწმუნებითი, მკაცრი, მკაფიო სიტყვებმა მათ წინააღმდეგ მიმართულმა მტრებს სრულებით დაუშნია აწყობილი გეგმები, ხელი აიღებია შავრაზმულ განზრახვებზე და ისინიც გაძვრენ თანდათან მიტინგიდან.

მიტინგი დაიხურა 7 საათზე საღამოთი.

სხვათა შორის გამოირკვა ზ.ზ. ბახვის მასწავლებლების—ზ. ღვდელ თედორაძის და სხვების განსაზღვრული აშკარა ზომები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული, რაც იმაში გამოიხატა, რომ თურმე მოწაფეებს, რომლებიც ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირში ეწერებიან, სკოლიდან დათხოვას დამუქრებია და არ მიუცია ნება კავშირში ჩაწერის, მის წევრად გახდომის.

ყველა ეს იქნა ამხ. ფილიპესგან მხედველობაში მიღებული და შესაფერი ინსტრუქციაც დაუტოვა ამის შესახებ ადგილობრივ ხელმძღვანელ ამხანაგებს.

საღამოს 8—9 საათზე ჩვენ უკვე ოზურგეთში, გურიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ მოწვეულ პასუხისმგებელ კომუნისტთა სხდომაზე ვიყავით.

ამხ. ფილიპემ და ალ. ერქომაიშვილმა გააკეთეს აქ საინსტრუქციო სახელმძღვანელო ხასიათის მოხსენებები პარტიის აღდგენა-გაძლიერებაზე და ადგილობრივ სამაზრო რევკომის აპარატის შექმნაზე, მის განმტკიცებაზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოხსენებების შედეგად მოხდა ოზურგეთის რევკომის რეორგანიზაცია [illegible] პარტიულ ძალთა გადაჯგუფება. [illegible] ნაცვლად რევკომში შევიდა [illegible]: 1) ან. დოლიძე, 2) თ. ჩიჩუა. 3) გურგენიძე, 4) პარ. ცინცაძე და 5) ვ. აბაშიძე.

ამხ. ვარ. კალანდაძეს დაეკისრა გურიის მაშტაბით პარტიულ მუშაობისთვის ხელმძღვანელობა.

არჩეულ იქმნა პარტიის წევრთა ხელახლა აღმრიცხველი კომისია შემდგარი ამხანაგებისაგან: 1) ვ. კალანდაძე, 2) გ. მგალობლიშვილი და 3) თ. დოლიძე.

**სევასტი.**

(დასასრული იქნება)

## ქრონიკა

**სახელმწიფო დრამის თეატრში.** 1 მაისს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა საგანგებო პროგრამით. წარმოდგენილ იქნება ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ", გარდა ამისა მონაწილეობას მიიღებს სატირაგიტის თეატრის გუნდი („ოქროს კერპი") და ბალეტი. ორშაბათს, მაისის 2-ს მესამედ წარმოდგენილ იქნება ტრ. რამიშვილის პიესა „შეშლილნი" ალ. წუწუნავას რეჟისორებით და „დარისპანის გასაჭირი" აკ. ფალავას რეჟისორობით.

**თფილისის პოლიტეხნიკუმში.** პოლიტეხნიკუმის რექტორის თ. დრ. ალმ. პროფ. დიდებულიძემ რექტორის მოვალეობების აღსრულებაზე უარი განაცხადა. პროფესორთა საბჭომ აირჩია რექტორატი შემდეგ პირთაგან: ორდინარული პროფ. ს. ლ. ავალიანი, ორდინარული პროფესორი ი. ს. გერეშევი და დოცენტი ა. ს. ბაზოვი. რექტორატის თავმჯდომარეთ არჩეულია ს. ლ. ავალიანი. პოლიტეხნიკუმში მეცადინეობა შეწყდა ამა წლის 27 აპრილს 8 მაისამდე.

**მზრუნველობა ბავშვებზე.** ახლო აღმოსავლეთის დამხარე ამერიკული კომიტეტი ამ ზაფხულზე ყოფილ საზაფხულო საკრებულოს შენობაში აწყობს 6.000 ბავშვთათვის გასართობს, დღეში 1.000 ბავშვისათვის. გასართობის მოწყობა დავალებული აქვს ამხ. ივანე სუნდუკიანცს. ბავშვებს მიეცემა საუზმეთ კაკაო, პური და რძე, ქალაქის ყველა სკოლის გამგეთა თათბირზე ამხ. კონიევის თავმჯდომარეობით დადგენილია გამოარკვიონ იმ მოსწავლეთა ნამდვილი რიცხვი, რომლებიც ძლიერ საჭიროებენ დახმარებას 6—11 წლამდე. განზრახულ გასართობებში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სკოლებიდან 5.000 ბავშვი და 1,000 ბავშვი იმ რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ ამერიკულ კომიტეტის უფასო სადილით.

**სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილებაში.** ხელოვნების განყოფილების კოლეგიამ დაადგინა სამხატვრო მნიშვნელობის საკონკურსო ყველა შენაკვეთი წარდგენილ უნდა იქნეს ხელოვნების განყოფილებაში. მიღება სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილებაში სწარმოებს 10-დან 12-მდე. სამხატვრო განყოფილების საქმეთა მმართველის მოვალეობის დროებით აღმასრულებელათ დანიშნულია ამხ. ბარათაშვილი.

**გადიდებული ულუფა.** სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილებამ სთხოვა სახალხო განათლების კომისარიატს, აღძრას შუამდგომლობა, რათა ხელოვნების მოღვაწეთ მიეცეს გადიდებული ულუფა.

**მილიციის მილიტარიზაცია.** უმცროს მილიციონერებისათვის შემოღებულ იქნება სამხედრო წყობის სავალდებულო სწავლა, რისთვისაც ყველა მილიციონერებისაგან შედგენილ იქნება 13 გუნდიანი ბათალიონი. ყოველ კომისარიატში იქნება კიდევ მესამე თანაშემწე კომისრისა, გამგე სამწყობრო ნაწილისა.

**ქალაქის რევკომში.** ტფილისის ქალაქის რევკომმა წინადადება მისცა ცენტრალურ საბინაო კომიტეტს სასწრაფოთ დაიმუშაოს და წარუდგინოს რევკომს დასამტკიცებლათ საოჯახო ნივთების—გადატან-გადმოტანის ნებართვის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. პროექტში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული სახელდობრ რა ნივთების გადატანა შეიძლება და რა რაოდენობისა.

**სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის** სრულუფლებიან წარმომადგენელმა საქართველოში და ა. შავერდოვმა მიიღო მოსკოვიდან ცნობა, რომ დაშნაკურ მთავრობის სომხის ლაშქრის ყველა იმ ოფიცრებს, რომელნიც გაგზავნილ იყვნენ რუსეთში, ნება ეძლევათ სამშობლოში დაბრუნებისა.

## პროფესიონალურ კავშირებში

**ტრანსპორტის სახელოსნო მუშათა კავშირი.**

ც. ა. ს. მუშათა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა 19 აპრილს მუშათა კლუბში, მოხსენება

გააკეთა ამხ. მაშკევიჩმა შემდეგ თემაზე, პროფკავშირების მოღვაწეობა სასურსათო საკითხში. მომხსენებელმა აღნიშნა კავშირების მიერ მუშათა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ მიღებული ზომები. ეწყობა: მუშებისათვის სასადილოები, იგზავნება ამორჩეული კომისიები პროვინციაში პირველ საჭიროების საგნების შესასყიდათ მიღებულია ზომები ბავშთათვის რძის მოსაწოდებლათ, რისთვისაც უკვე მოქმედობს 3 პუნქტი: ორთაჭალის, ვერის და დიდუბის რაიონებში. სხვა რაიონებში პუნქტები ეხლა ეწყობა და მალე გაიხსნება. ამავე დროს ქალაქში საუკეთესო სახლებს რეკვიზიციას უშვრებიან მუშათათვის. მოხსენების ბოლოს ამხ. მაშკევიჩი მოუწოდებს დამსწრეებს გამოიყვანონ თავისი წყებიდან ისეთები, რომლებიც პირადი შრომით დაეხმარებიან მათ ამ დიდ მუშაობაში. კამათისა და მომხსენებლის საბოლოოთ სიტყვის შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია. „მოისმინა რა ამხ. მაშკევიჩის მოხსენება პროფ. კავშირების მოღვაწეობის შესახებ სასურსათო საკითხში, ც. ა. ს. სახელოსნოს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება იწონებს კავშირის მუშაობას და ალუთქვამს თავის მხრივ, რომ იგი მიიღებს ყოველ ზომას ტრანსპორტის საქმის გასაუმჯობესებლად და ამ მუშაობაში პირად აქტიურ მონაწილეობის მიღებით გააუმჯობესებს სასურსათო მდგომარეობას. შემდეგ მიმდინარე მომენტზე და საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ—მოხსენება გააკეთა ამხ. ივანოვ-კავკასიელმა, რომელმაც დაახასიათა ის გიგანტური მუშაობა, რომელსაც ეწეოდა პროლეტარიატი საბჭოთა რუსეთში სამი წლის განმავლობაში.

მოხსენების შემდეგ ყველა დამსწრის მიერ სამის წინააღმდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, ც. ა. ს. სახელოსნოს მუშებმა მოვისმინეთ რა ამხ. ივანოვ-კავკასიელის მოხსენება მიმდინარე მომენტსა და საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ვადგენთ: ალიბეჭდოს სამარცხვინო დაღით გაქცეული მენშევიკური მთავრობა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავდა საქართველოს მშრომელი კლასი ანტანტასთან ხელი ხელ ჩაკიდებულს და მივესალმებით საქართველოს რევკომს და კომპარტიის ც. კ. როგორც მუშათა კლასის ერთად ერთ სურვილების გამომხატველს და ინტერესების დამცველს. ფიცსა ვსდებთ არ ავყვეთ მუშათა მტრების პროვოკაციას და ჩვენ უფროს ძმების საბჭოთა რუსეთის მუშების მსგავსათ, მედგრათ დავიცვათ მუშათა კლასის ინტერესები. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

**განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირი.**

განათლებისა და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირი შეიცავს შემდეგ ქვეგანყოფილებათ: 1) სკოლები 1 და მე-2 ხარისხისა, საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები, ახალშენები, ძუძუ მწოვარა ბავშვთა სახლები და სახლები დეფექტიან ბავშვებისთვის, 2) ბავშვობის დამცველი დაწესებულებანი, 3) სკოლები და კურსები მოზარდთა და მოზრდილთათვის, 4) კლუბები და ბიბლიოთეკები, 5) სახალხო სახლები, 6) სახალხო უნივერსიტეტები, 7) მუზეუმები და გამოფენები, 8) საპორტო მოედნები, 9) სამეცნიერო-დაწესებულებები, 10) უმაღლესი სასწავლებლები, 11) ტეხნიკური და პროფესიონალური სკოლები, 12) სახალხო განათლების კომისარიატის და მის ადგილობრივ ორგანოების მუშაკნი გარდა სამხვატრო სექციისა, 13) სახალხო განათლების ინსტიტუტები.

საორგანიზაციო ბიურო გვთხოვს აღვნიშნოთ, რომ ტეხნიკურ ნაწილის ადმინისტრატიულ პირთ აქვთ უფლება აირჩიონ და თითონაც არჩეულ იქმნან; სასწავლებელთა პატრონებს არა აქვთ არც აქტიური, არც პასსიური საარჩევნო უფლება; კანცელარიის მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ კომიტეტების არჩევნებში და ისარგებლონ ყველა უფლებით; ის დაწესებულებანი, რომელთა მოსამსახურეების რიცხვი 20-ზე ნაკლებია, უნდა შეერთდნენ თანაგვარ დაწესებულებებთან ადგილობრივ კომიტეტების არჩევისათვის.

## პარტიული ცხოვრება

**დუშეთის მაზრაში.**

პარტიულ ძალების ხელახალი რეგისტრაცია დასრულდა მთელს მაზრაში 18 აპრ. რის შემდეგაც გამორკვეულ იქნა შედეგი ამ მძიმე და ფრთხილი მუშაობისა, რომელი მუშაობაც დაკისრებული ჰქონდა სპეციალურ კომისიას. რიცხვი აღნუსხულ პარტიულ ამხანაგებისა ყოველ რაიონში შემდეგია: ქ. დუშეთში აღნუსხვაში გატარებული და პარტიის წევრებათ კომისიის მიერ დამტკიცებული 24 ამხ., საგურამოს რაიონში 9 ძველი პარტიული ამხ., მუხრანის რაიონში პარტიულ ორგანიზაციაში აღნუსხვის შემდეგ დარჩა 39 ძველი პარტიული ამხ., ახალგორის რაიონში 27, ბაზალეთისა 18, მცხეთის 3, ჟინვალის—6, ფასანაურის და ყაზბეგის რაიონში 2 ამხ. მთლათ მთელი რიცხვი აღნუსხვაში გატარებულ ამხ. უდრის: 138, ძველი პარტიული მომუშავენი. ამის შემდეგ ადვილი არის შეტყობა მტერმოყვარისა საიმედო ძალების დარაზმვა ახალ ცხოვრების მოსაწყობათ და მთელ მაზრაში რევოლიუციონურ წეს-რიგის დასაცველათ. მარა ჩვენი მაზრის პარტიული ძალები პარტიის მარტო ნამდვილ წევრებით არ განისაზღვრება. ძველი პარტიულ ამხ. შემდეგ ჩვენ მთელ მაზრაში გვყავს ძლიერ ბევრი თანამგრძნობი, რომლებმაც სურვილი განაცხადეს პარტიაში ჩაწერის. ჯერ ჯერობით ცნობები თუ რამდენს ამხ. ნამდვილად სურთ პარტიაში ჩაწერა,—შემდეგ რაიონებიდან გვაქვს შეკრეფილი. 1) ბაზალეთის რაიონიდან 500 ამხ., საგურამოდან 460, ახალგორის,—1000, მუხრანის რაიონიდან (შუახევის ხეობიდან) 700, მთლათ 2660 ამხ. ეს მსურველები არის მხოლოთ საგურამოს, მუხრანის, ბაზალეთის და ახალგორის რაიონებიდან. რაც შეეხება მაზრის დანარჩენ სხვა რაიონებს, რიცხვით 7. რაიონს: მცხეთის, ჟინვალის, ფასანაურის, მლეთის, გუდაურის, კობის და ყაზბეგის,—აქედან სწორი ცნობები ჯერ არ შეკრებილა და ამიტომ არ ვიცით, თუ რამდენი აღმოჩნდება პარტიაში ჩაწერის მსურველი. იმედი არის, რომ არც ეს რაიონები ჩამორჩებიან ზემო ხსენებულ რაიონებს და აქედანაც ჩვენს პარტიას რამდენიმე ათასი წევრი შეემატება რამოდენიმე თვის განმავლობაში. მხოლოთ ამისთვის საჭირო არის გაძლიერებული ენერგიით პარტიულ მუშაობის გაჩაღება მთელ მაზრაში, რომ არ დარჩეს არც ერთი კუთხე, სადაც არ იყოს პარტიული წრე. პარტიული მუშაობა. აქ საჭიროა ფრთხილი მოქმედება, რომ მიიზიდო პარტიაში ისეთი მხარეები, როგორიც არის მთიულეთი, ხევი და ფშავ ხევსურეთი. რადგანაც ყველაზედ ჩამორჩენილი კუთხეებათ ისედაც ჩამორჩენილ მაზრაში ეს კუთხეები ითვლება. მთელ მაზრაში კი პარტიულ მუშაობის მკვიდრ ნიადაგზედ დასაყენებლათ საჭირო არის ს. კ. პ. ცეკამ დიდი ყურადღება მიაქციოს ამ მაზრას, რადგანაც არც ერთი მაზრა არ არ ს მედგარი დამცველი კომუნისტური რევოლიუციის, როგორც დუშეთის მაზრა. აქაურმა მშრომელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს წმინდა კომუნისტურ რევოლიუციისთვის და ამიტომ დაიცვავენ კიდეც მას. ეს მაზრა ღირსია, რომ მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიულ თუ სახელმწიფოებრივ ცენტრებმა და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ, პოლიტიკური, კულტურული, ნივთიერი. ამით ეს კუთხე განვითარდება და საბჭოთა ხელისუფლების უფრო მედგარი დამცველიც გახდება.

გ. ლაფანაშვილი.

## მუშათა ცხოვრება

**ავლაბრისა და ნავთლუღის რაიონების საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების სეკრეტარიატი.**

ავლაბრის და ნავთლუღის რაიონების საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ, ამ რაიონის სიშორის გამო, გადასწყვიტა დაარსოს ცალკე სეკრეტარიატი, რომელიც იმუშავებს და გადასწყვეტს ადგილობრივ ხასიათის ყველა საკითხებს. სეკრეტარიატში შევიდნენ: ამხ. ბოტალოვი, უმანეცი, კონჩაკი, ჭანტურია, ბოგდანოვი.

## პროვინციაში

**მიტინგი ფასანაურში.**

ფასანაურის მცხოვრებლებმა, მოვისმინეთ რა მოხსენებანი ამხანაგ აფციაურისა [illegible]

— საქართ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—პლეხანოვის ქ. 136, თეატრი „სახალხო". ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ველიამინ. ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 რაიონის ბიურო—ლიდიის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

## ლაშე-ღვერკის სათემო რევკომი აცხ.

22 აპრილს ლაშე-ღვერკის თემში მდინარე ჩაერიმელას 136 ვერსის ხიდის ბურჯებზე ვნახეთ მიცვალებულის გვამი შემდეგი ნიშნებისა: ნაყვავილარი, ტანათ საშუალო, წვერი მოპარსული, მორჩილი შავი ულვაშები დაახლოებით ოცდაათი წლისა, თავი დამტვრეული აქვს და როგორც ჩანს მატარებლიდანაა გადმოვარდნილი; სათემო რევკომის მიერ დროებით დასაფლავებულია ლაშე-ღვერკის თემ. დ. სასწავლებლის გალავანში; პატრონს შეუძლია მიმართოს ლაშე-ღვერკის სათემო რევკომის თავმჯდომარეს.

რევკომის თავმჯდომარე გ. მაჭავარიანი.

## ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

# კომ. ახალგაზრდობის ფურცელი № 5

## აღსრულდა!

მენშევიკები სამი წლის განმავლობაში მარქსის მზეს ფიცულობდენ, ჭეშმარიტ სოციალისტობას ჩემულობდენ, მუდამ მუშათა და დემოკრატიის სახელით გამოდიოდენ, მაგრამ რა გააკეთეს იმათ ამ დემოკრატიის საკეთილდღეოთ საერთოდ და კერძოთ კი ახალგაზრდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ? ვინ არ იცის რომ ახალგაზრდა მუშების შესახებ არავითარი დადგენილება არ სუფევდა და არავინ არ გამოდიოდა მათი შრომის დამცველათ. მომავალი თაობა, თანამედროვე ხალხის საუკეთესო ნაწილი, საშინელ პირობებში ცხოვრობდა, ლუკმა პური რომ ეშოვნა ამის გამო დიდი სასჯელი უნდა ენახა. ზედმეტია ლაპარაკი მათში განათლების შეტანაზე,—ამაზე ხომ სულ არ დარდობდენ გაქცეული რაინდები. საბჭოთა მთავრობა გამოდის მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველათ. ის დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა თაობას, რომელიც აწმყოს მემკვიდრეა. ეს მემკვიდრე თავის სიმაღლეზე უნდა დადგეს, რომ შეასრულოს პირნათლათ თავისი მისია. საბჭოთა მთავრობამ მიზნათ დაისახა ახალგაზრდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და სამისო დადგენილებაც კი გამოიმუშავა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კომუნისტის" № 33-ში. ამ დადგენილებების ძალით აკრძალულია 14 წლამდე სამუშაოზე ახალგაზრდების მიღება: ხოლო ასეთები თუ მუშაობენ მოხსნილ უნდა იქნენ. მაგრამ ვიკითხოთ, რით უნდა იცხოვროს მაშინ ამ ხალხმა ან რა უნდა აკეთოს? ამაზე პასუხს იძლევა იგივე დადგენილება, რომელიც ამბობს, რომ სამუშაოდან მოხსნილი ახალგაზრდები „**უზრუნველყოფილი უნდა იქნენ და სკოლებში განაწილებულნი**". დიახ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს, ის უნდა აღიზარდოს, მომწიფდეს გონებრივათ და ფიზიკურათ, თუ გვსურს მივიღოთ მომავალში ჭეშმარიტი ადამიანები, დაწყებული საქმის განმგრძობნი... სოციალისტურ სამშობლოს დაგლახაკებული და დამონებული ახალი თაობა არ უნდა. ამის შემდეგ ყველა მოზარდები 14—16 წლამდი უნდა მუშაობდენ სამუშაოზე 4 ს., ხოლო 16—18 წლამდი—6 საათს, სრული ხელფასის მიცემით. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობა თანდათან უნდა შეეჩვიოს შრომას, კარგათ გამოიწვრთვნას ისე, რომ მისი ფიზიკური აგებულობა არ გაილახოს. დაუშვებელია აგრეთვე ახალგაზრდების ისეთ სამუშაოზე დაშვება, რომელიც მისი არსებობისათვის მავნებელია. აი მოკლეთ ის რაშიც მდგომარეობს გამოცემული დადგენილების შინაარსი. დიდი ხანია ელოდა ამ დადგენილებას ჩვენი ახალი თაობა, დიდი ხანია ის იბრძოდა ამისათვის. და აღსრულდა კიდეც, ახალგაზრდობამ მიაღწია მიზანს, მაგრამ მხოლოთ იმიტომ, რომ დღეს განმტკიცდა საქართველოში ნამდვილი მშრომელთა წყობილება. დადგენილება უკვე გამოცემულია. საქმის ერთი ნაწილი შესრულებულია; მაგრამ ეს ცოტაა. საქმე ამ დადგენილების განხორციელებაშია. ეს კი უფრო ძნელი საქმეა, აქ საჭიროა ფართე მასსების ამოძრავება და დახმარება, აქ საჭიროა უპირველეს ყოვლისა თვით ახალგაზრდობის ამოქმედება. მან უნდა ეცადოს გვერდში ამოუდგეს თავის მთავრობას და გაატაროს ცხოვრებაში ეს დიადი იდეა. მე აქ ლაპარაკს არ გავაგრძელებ იმაზე, თუ რა დიდი შედეგი მოჰყვება ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ახალმა თაობამ უნდა ეცადოს, ის დრო, რომელიც მის განკარგულებაში იქნება, გამოიყენოს მიზანშეწონილათ, გამოიყენოს თავისი საკუთარი აღზრდის, თავისი სწავლის, განათლების და ფიზიკური არსებობის გამაგრების საქმისთვის ერთი წუთი უქმათ არ უნდა იქნას დაკარგული. უნდა მოეწყოს ფართე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, უნდა მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა და სხვ. ყოველივე ამ მუშაობას ახალგაზრდობაში კისრულობს საქართველოს ახალგ. კომუნისტური კავშირი. და აი, ახალგაზრდა მუშებმაც მასში უნდა შეკავშირდენ, მასში უნდა დაირაზმონ და ისწავლონ ბრძოლა, ისწავლონ ახალი საზოგადოების შენება. ახალგაზრდობა ის ფუძეა, რომელზედაც უნდა აშენდეს ტაძარი მომავლისა. გვახსოვდეს ეს სიტყვები, ახალგაზრდა ამხანაგებო, და მედგრათ გავსწიოთ წინ, ჩვენს მთავრობასთან ერთად, წინ, ახალი წყობილების, ახალი კომუნისტური საზოგადოების შექმნისაკენ- მივესალმებით მთავრობის დადგენილებას და გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ის ჩვენი ძალების ამოძრავებით და ამუშავებით, მარტო ქაღალდზე არ დარჩება.

ქ. ო—ძე.

## პარტიასთან დამოკიდებულება

უკვე გამომუშავებულია ჩვენ და პარტიის დამოკიდებულების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლათ გადაეცემა ს. კ. პ. და ს. ა. კ. კ. ცეკას და რომლის შემდეგ ის გამოქვეყნდება. ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ დამოკიდებულების დამახასიათებელ მომენტებზე. დასავლეთში სოციალ-გამცემლები და ყოველი ჯურის ოპორტიუნისტები ალმაცერათ უყურებდენ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს და მათ არა საიმედოთ სთვლიდენ. ისინი დარიგებას აძლევდენ ჩვენს ორგანიზაციებს, რომ პოლიტიკაში არ ჩარეულიყვნენ, რადგან ეს ახალგაზრდების საქმე არ არისო. როდესაც მათ ამ დარიგებას არ უსმენდენ და განაგრძობდენ პოლიტიკურ მუშაობას, მაშინ პარტიამ სასტიკი კონტროლი დააწესა ჩვენს ორგანიზაციებზე და დაიწყო „ახალგ. კომიტეტების" ოვითონ დანიშვნა ზევიდან. ერთი სიტყვით მთელი მათი ყურადღება და მუშაობა იქითკენ იყო მიქცეული, რომ ახალგაზრდობის თვითმოქმედება ჩაეკლათ. და ზოგიერთ ქვეყნებში კიდევაც მიაღწიეს მიზანს და ამით ახალგაზრდათა მოძრაობა დაასუსტეს და ჩაკლეს. ამ გზას ვერ დაადგებოდა რევოლიუციონური პარტია კომუნისტებისა. იმან ძირიან ფესვიანათ შესცვალა ახალგაზრდებთან დამოკიდებულება. რუსეთში გამომუშავდა ჩვენ და პარტიას შორის დამოკიდებულების პროექტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა მერვე სიეზდის მიერ. წინააღმდეგ ოპორტიუნისტებისა, პარტია კომუნისტებისა აძლევდა ახალგაზრდობას ფართე თვითმოქმედების სარბიელს, რომ მას გაეშალა და გაეფურჩქნა თავისი ნიჭი. თვითმოქმედება საფუძვლათ დაედვა ჩვენი ორგანიზაციის არსებობას. ახალგაზრდობას, როგორც მთელის ერთ ნაწილს მხურვალე მონაწილეობა უნდა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში და მუშათა ბრძოლაში, რომ გამოწვრთნილიყო, ბრძოლაში გამობრძმედილიყო და შეევსო მებრძოლ კომუნისტების კადრები. თავისი ორგანიზაციის შინაურ საქმეებში ჩვენ სავსებით ავტონომიური ვიყავით. ჩვენ ვიწვევდით ჩვენს საკუთარ ყრილობას და ვირჩევდით საკუთარ ორგანოებს, როგორც ადგილობრივს ისე ცენტრალურს, გვქონდა საკუთარი ორგანოები. მაგრამ ჩვენ მაინც გვქონდა პარტიასთან კავშირი. ვსცნობდით რა მის პროგრამას და ტაქტიკას, ჩვენ საერთოდ ვექვემდებარებოდით პარტიას და მესამე კომ. ინტერნაციონალს, რაც ოდნავათ არ ზღუდავდა ჩვენი ორგანიზაციის ავტონომიას და დამოუკიდებლობას. ასეთ კავშირს მოითხოვდა ბრძოლის, მისი მთლიანობის ინტერესები. ეს კავშირი გამოიხატებოდა ურთიერთ წარმომადგენლობაში. პარტიის კომიტეტები აგზავნიდენ თავის წარმომადგენლებს ჩვენს კომიტეტებში გადამწყვეტი ხმის უფლებით. სამაგიეროთ ჩვენც ვგყავდა ასეთი წარმომადგენლები პარტიის კომიტეტებში, რომ გასცნობოდა მათ მუშაობას და გამოცდილება შეეძინა ჩვენი წარმომადგენლები სარგებლობდენ სათათბირო ხმით და გადამწყვეტით კი იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენს კავშირს შეეხებოდა. ამას გარდა პარტია და ჩვენი კავშირი ერთმანეთს უნდა დახმარებოდენ მუშაობის და ბრძოლის დროს. პარტია აძლევდა ჩვენს ორგანიზაციებს ნივთიერ დახმარებას და იდეურ ძალებსაც, სადაც ეს საჭირო იყო. სადაც არ იყო ჩვენი ორგანიზაცია, იქ მისი დაარსების ინიციატივას პარტია ღებულობდა. ასეთი იყო მოკლეთ რუსეთში პარტიის და კავშირის დამოკიდებულება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას უცვლელათ გადმოვნერგავთ საქართველოში. არა. ჩვენ არ გადმოვიტანთ ჩვენს სინამდვილეში იმას, რაც ავნებს ჩვენს კავშირს ან და ზედმეტი იქნება. აი ამით ხელმძღვანელობდა ჩვენი ამხანაგები ურთიერთშორის დამოკიდებულების პროექტის შედგენის დროს. ასეთი პროექტი დღეს გვაქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველასათვის გახდება ნათელი თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს ჩვენსა და პარტიას შორის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ამხანაგები პარტიიდან, რომლებიც ამდენ ხანს ალმაცერათ უყურებდენ ჩვენს ორგანიზაციას და სათანადო დახმარებას არ უწევდენ მას, შესცვლიან თავის ძველ შეხედულებას და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენს ორგანიზაციებს თავისი მოძრაობის გასანვითარებლათ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენ, ახალგაზრდობა, ვართ იმ ბრძოლის განმგრძობი, რომელსაც დღეს პარტია აწარმოებს, ჩვენა ვართ მემკვიდრე აწმყოსი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში გაუწია ყოველივე ამას და ჩვენი ურთიერთ შორის დამოკიდებულება განსაზღვრულ ნორმებში ჩამოაყალიბა. ვისურვოთ, რომ ეს გახდება თავდები ჩვენი კავშირის კიდევ უფრო მძლავრათ განვითარების და გაძლიერებისა, რაც იმავე დროს პარტიის და კომუნისტური მოძრაობის მომავლის უზრუნველყოფას ნიშნავს.

სპარტაკი.

**გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობას, რომელიც მედგრათ ებრძვის ყოველი ჯურის მყვლეფელებსა და მჩაგვრელებს!**

## არ ისვენებენ

დღეს, როდესაც მენშევიკურ-ბურჟუაზიული დახავსებული მთავრობა დამხობილია, მიწაზედ სამარცხვინოდ განართხული და მის ნაცვლად დაფუძნებულია საბჭოთა მუშურ-გლეხური ძალაუფლება, მოიძებნებიან ისეთი პირები და ჯგუფები, რომელნიც საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ აგიტაციას და აქტიურ მუშაობას აწარმოებენ. მათი მიზანია ყოველი მხრივ ხელი შეუშალონ ახალ კომუნისტურ-აღმშენებლობას, პროვოკაციული ხმებიავრცელონ და ნდობა და სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლებას. მოგეხსენებათ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ეწევა ფართო მუშაობას მთელ საქართველოში კომუნისტური იდეების გასავრცელებლათ. და ძლიერ ორგანიზაციების მოსაწყობათ ის ხშირათ გზავნის აგრეთვე პასუხისმგებელ მუშაკებს საქართველოს ყველა სასწავლებლებში, მოწაფეთა შორის პარტიული მუშაობის გასაჩაღებლათ. მაგრამ როგორც ირკვევა ამ ჩვენ მუშაობას მოწაფეთა შორის ყოველი საშუალებებით ებრძვიან სასწავლებლების ზოგიერთი გამგენი და მასწავლებლები. იყო შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პასუხისმგებელი მუშაკები მისულან სასწავლებლებში მოწაფეებთან თანამედროვე საკითხებზედ სასაუბროთ: გამგეს ბინა არ დაუნებებია კრების მოსაწყობად, ხოლო მოწაფეებისთვის აუკრძალავს კრებებზე სასწავლებლებში დასწრება. ზოგიერთი მასწავლებლები და გამგენი ყოველ დღე მოსწავლეებს უხსნიან, რომ კომუნისტები საქართველოს მტრები არიან და სხვა, კერძოთ მოსწავლეებს ამხედრებენ ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წინააღმდეგ: ვინც აღმოჩნდება მოწაფეთა შორის ან თანამგრძნობი ან წევრი ჩვენი კავშირის, იმათ ზიზღი და სიძულვილი ატყდება თავზე მათი მხრით. ამის გამო სამართლიანი და მიზანშეწონილი იყო მიმართვა საქ. ახალგ. კომ. კავშირის თბილისის კომიტეტის სახალხო განათლების კომისარიატისადმი, რათა მან გააფრთხილოს და შესაფერი დარიგება მისცეს ხსენებულ მასწავლებლებს და გამგეებს. ჩვენ კი ვეტყვით ახალგაზრდობის მტერთ: ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა სამუდამოთ დაემხო და მის ნაცვლათ დაფუძნდა ახალგაზრდა მუშურ-გლეხური საქართველოს მთავრობა, რომელსაც დარაჯათ უდგას მშრომელი საქართველოს შვილები, საქართველოს მუშები და გლეხები და კომუნისტური ახალგაზრდობაც, რომლებიც არ მისცემენ ნებას მის მტერთ და ორგულთ კვლავ განაგრძონ თავისი ბნელი მოღვაწეობა. გაუმარჯოს პატიოსან, მშრომელი ხალხიდან გამოსული მოწაფეების ჩვენთან: მუშებთან და გლეხებთან, ძმურ მუშაობას და კავშირს.

შ. ლოთგაძე.

## საქ. ახ. კომ. კავშირის ც. კ. პლენუმი პასუხისმგებელ ამხ. თანადასწრებით

პლენუმი გაიხსნა 19 აპრილს. აირჩიეს პრეზიდიუმში ამხ. ძნელაძე, ოკუჯავა და ამასი, პლენუმმა განიხილა შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება მომენტზე.
2. მოხსენება ც. კ.
3. კავშირის ამოცანები საბჭ. რესპ.
4. პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა.
5. ეკონომ უფლებრივი განყოფილება.
6. სამხედრო საწვრთნელი განყოფილება.
7. ორგანიზაციული აღმშენებლობის ამოცანები.
8. მუშაობა სოფლათ.
9. ც. კ. და სარევიზიო კომისიის არჩევა.
10. მიმდინარე კითხვები.

ყველა კითხვებზე გაკეთებულ იქნა შინაარსიანი მოხსენებები. ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია ც. კ. მოხსენებამ და საკითხმა კავშირის ამოცანების შესახებ საბჭ. რესპუბლიკაში. ყველა ამხანაგები ფრთხილათ ეპყრობოდენ დღის წესრიგში დასმულ კითხვებს. ც. კ. მუშაობა პლენუმმა დამაკმაყოფილებელათ არ სცნო და დაადგინა მისი გადაყენება და ახალ დროებითი ც. კ. არჩევა, რომელმაც უნდა მოიწვიოს სიეზდი ამ ახლო ხანში.

ყველა კითხვებზე გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები, რომელნიც ცალკე დაიბეჭდება. პლენუმის ანგარიში უფრო დაწვრილებით სხვა დროს დაიბეჭდება. ახალ ცენ. კომიტეტში აირჩიეს 9 კაცი და სამი კანდიდატი: 1) ბორის ძნელაძე, 2) ბ. ადამაძე, 3) შ. ოკუჯავა, 4) კ. ორაგველიძე, 5) კალანტაროვი, 6) ამასი, 7) ს. ბაბლიძე, 8) ხუნდაძე, 9) გაიოზ დევდარიანი. სარევიზიო კომისიაში: ს. ჯაფარიძე, მ. ცინცაძე, გვახარია.

„საერთოდ პლენუმმა, რომელმაც მუშაობა 22 აპრილს დაასრულა, დიდი შრომა გასწია, რომ შეემუშავებია ახალი სამოქმედო გეგმები და ჩამოეყალიბებია თავისი ორგანიზაცია. არც ერთი უწინდელი კონფერენცია და სიეზდი თავისი მუშაობით ამ პლენუმის მუშაობას არ შეედრება, დარწმუნებული-ვართ ის დიდ როლს ითამაშებს ჩვენი კავშირის გაძლიერების საქმეში. ვუსურვებთ ახალ ც. კ. ენერგიულ მუშაობას.

---

როდესაც აირჩიეს ახალი ც. კ. იმ სხდომის შემდეგ დარჩა ყველა წევრები და მოიწყვებს ც. კ. პირველი სხდომა. გასარჩევი იყო საკითხი ახალი ბიუროს არჩევის შესახებ. ბიუროში აირჩიეს: ამხ. ბ. ძნელაძე მდივნათ. ამხ. შ. ოკუჯავა მის თანაშემწეთ და „პოლიტ-პროსვეტის“ გამგეთ, ამხ. კ. ორაგველიძე „პოლიტ პროსვეტის“ კოლეგიის წევრათ და ბეჭდვითი ბიუროს გამგეთ, ამხ. გ. დევდარიანი—ეკონომ. უფლებ. განყოფილების გამგეთ, ამხ. კალანტაროვი „პოლიტ-პროსვეტის“ კოლეგიის წევრათ და რუსული „ფურცლის“ რედაქტორათ—სულ 5 კაცი, რომლებიც მუდმივათ უნდა დარჩენ თბილისში სამუშაოთ. სხვა ამხანაგები ც. კ. წევრები გაიგზავნა: ამხ. ბ. ადამაძე—დროებით ქუთ. გუბ., ამასი—დროებით ბათუმში, ბაბლიძე—ახალციხის მაზრაში, ხუნდაძე—დროებ. გორის მაზრაში. სხვა ამხანაგებიც უნდა იქნან განაწილებული სხვა და სხვა ადგილას. ახლად არჩეული ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას. **კ.**

## ახალ აზრდობის მოძრაობა უცხოეთში

**აზერბეიჯანი.**

**აგდაშის მაზრაში** ახალგაზრდობის კავშირის 57 იაჩეიკაა, რომლებშიც წევრთა რიცხვი 2950-მდი ადის. სოფლებში გახსნილია სამკითხველოები, სადაც რეგულიარულათ იმართება საუბრები სხვა და სხვა პოლიტიკურ თემებზე და სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. გახსნილია აგრეთვე კლუბები.

**ქ. განჯაში** კავშირის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. ქალაქში გახსნილია 2 კლუბი და 4 სამკითხველო. ყველა საბჭოთა დაწესებულებებში კავშირს ყავს თავისი წარმომადგენლები. ეკონომიური-უფლებრივი განყოფილება ახდენს მუშათა ახალგაზრდების მდგომარეობის გამორკვევას. თამბაქოს ქარხნიდან მოხსნეს ყველა მცირე წლოვანი მუშები.

**გოქჩაის მაზრაში** 35 ორგანიზაციაა. კავშირის წევრთა უმრავლესობა მუსულმანებია. გახსნილია 3 კლუბი, სადაც მოწყობილია სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი წრეები.

**ჯევანშირის მაზრაში** კავშირი 1300 წევრს აკავშირებს. არის კლუბი. მოქმედობს დრამატიული, მუსიკალური და სხვა წრეები. სამხედრო ვარჯიშობასაც ასწავლიან.

**რუსეთში.**

**დონის ოლქი.** ორგანიზაციები თანდათან ძლიერდებიან. უკანასკნელი ცნობებით დონის ოლქში 300 ორგანიზაციაა, რომლებშიაც წევრთა რიცხვი ადის 11.500-მდე. კავშირში მრავალი ყაზახი ახალგაზრდებია.

**პეტერბურგის კომიტეტმა** მობილიზაციით გაიწვია კავშირის 50 საუკეთესო წევრები ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოთ.

**რიაზანის გუბკომმა** 300 მდი წევრი გაიწვია საბჭოთა მეურნეობაში და კომუნებში სამუშაოთ.

**კონსტანტინოგრადის ახალგ. ორგანიზაციამ** გახსნა სახელოსნო, რომელმაც გამოუშვა მრავალი სამიწათმოქმედო იარაღები და რემონტის მასალები.

**პორტუგალიაში.**

ჩვენი კომუნისტური კავშირი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ცრუ-სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებთან, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასს და ცდილობენ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას.

**ჩეხიაში.**

ჩეხიის ნემეცური ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის სიეზდმა 82 ხმით 22 წინაამდეგ (5 თავი შეიკავა) დაადგინა მიემხროს ახალგ. კომუნისტურ ინტერნაციონალს.

**ამერიკაში.**

ახალგაზრდათა ორგანიზაციები თანდათან ძლიერდებიან. ახალგაზრდების ვაშინგტონის სიეზდზე დაესწრო 70 წარმომადგენელი, რომლებიც აკავშირებდნენ 28.000 წევრს. „თავისუფალ ქვეყანაში“ სიეზდი არალეგალურათ შეიკრიბა. სიეზდი ძმურ სალამს უძღვნის ყველა კომუნისტებს.

**საფრანგეთში.**

საფრანგეთის ახალგაზრდების სოციალისტური კავშირის კონგრესმა, რომელიც შეიკრიბა 1920 წლის ოქტომბერში, დაადგინა მიემხროს ბერლინის კონგრესის დადგენილებებს და შევიდენ ახალგ. კომუნ. ინტერნაციონალში.

**გერმანიაში.**

„დამოუკიდებელი“ ახალგაზრდობის სიეზდმა, რომელიც შეიკრიბა 1920 წ. ნოემბერში, დაადგინა შევიდეს ახალგ. კომუნისტურ ინტერნაციონალში. ამის გამო უნდა მოხდეს შეერთება დასახელებულ ორგანიზაციების გერმანიის თავისუფალი სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირთან.

**ირლანდიაში.**

ინგლისის კაპიტალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩაახრჩონ ირლანდიის ახალგაზრდობის მოძრაობა. ამ ცოტა ხნის წინ ჩამოახრჩვეს ირლანდიის ახალგაზრდა რევოლიუციონერი **ხევენ ბერრი.**

## ამხ. ელიკო აბაშიძის ხსოვნას.

სწორეთ იმ დროს, როდესაც მენშევიკური რეაქციის უკანასკნელმა დღემ მოატანა, როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ უნდა შემოსულიყო ხაშურში წითელი ლაშქარი, სწორეთ ამ დროს ორი დღის შეპყრობილი ამხანაგი ელიკო გამოიყვანეს სატუსაღოდან და შეუბრალებლათ გამოასალმეს წუთისოფელს (დახვრიტეს) ჯალათ მენშევიკებმა. ამხ. ელიკო მდგომარეობით გლეხი იყო და როგორც ასეთმა იმან მოძებნა ის ორგანიზაცია, რომელიც მედგრათ იცავდა მუშების და გლეხების ინტერესებს. ეს იყო ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. ელიკოს პოლიტიკურ მოღვაწეობას მოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ეს ხან მოკლე მოღვაწეობა იმდენათ ნაყოფიერი იყო, რომ მანაც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა წესწყობილების დამყარების საქმეში. ტკბილათ განისვენე ამხ. ელიკო, შენი ამხანაგები არ დაივიწყებენ შენს რევოლიუციონურ მოღვაწეობას, შენი წარსული მაგალითად დარჩება ჩვენთვის.

**ხებეშვილ. ი.**

## ამხ. ვასო ჩაფრაძის ხსოვნას

(მისი ნეშთის ძმათა სასაფლაოზე გადმოტანის გამო)

ამხ. ვასო ერთ საუკეთესო მუშაკათ ითვლებოდა გორის მაზრაში. ის ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ჯანღონით სავსე; მას ბევრი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მუხთალმა ბედმა უმტყუნა და მისი დიდი დაპირებანი მოკლე და ენერგიული თავდავიწყებული მუშაობით გათავდა. მან დიდი სარგებლობა მოუტანა კომუნისტურ ახალგაზრდობას: ის ჩვენთან ერთად იბრძოდა მოღალატურ მთავრობის წინაამდეგ. დღეს, როდესაც გვეძლევა საშუალება პატივი ვსცეთ რევოლიუციონერს ისე, როგორც ეკუთნის, ვიღებთ მის ნეშთს ძველ სასაფლაოდან და გადაგვაქვს ახალ სასაფლაოზე, სადაც მარხია მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში დაცემული ამხანაგები. ვასოს სურვილები უკვე აღსრულდა, საქართველო უკვე საბჭოთა რესპუბლიკაა: საქართველოს მუშები და გლეხები ზეიმობენ თავის გამარჯვებას და ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ ამხ. ვასოსთანა მებრძოლ ამხანაგების ხსოვნას. განისვენე ძვირფასო ამხანაგო, თქვენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება ჩვენს გულში! ჩვენ არასოდეს არ გადაუხვევთ იმ გზას, რომელსაც შენ მიჰყვებოდი შენ ხან-მოკლე სიცოცხლეში!

**ხებეშვილი.**

## ჩვენს კავშირში

**შუხუთის თემი.** (გურია). რუსეთში 3 ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ხალხში მოხდა პოლიტიკური გარდატეხა. „სოციალისტურ“ მენშევიკურ მთავრობამ ვერ გაუმართლა მშრომელ გლეხობას ის იმედები, რომელთაც ის რევოლიუციისაგან მოელოდა. მენშევიკურ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას არავითარი ძირითადი საკითხები, მაგ., სწავლა-განათლება, მუშათა მდგომარეობა და მიწის საკითხი არ გადაუწყვეტია მშრომელთა სასარგებლოთ. ეს ყველასთვის ნათელი და ცხადი შეიქმნა: ადგილობრივი მუშა-გლეხობა და მათი შვილები დაირაზმენ კომუნიზმის დროშის ქვეშ. პირველი მოზრდილ კომუნისტ მუშა-გლეხთა კრება მოხდა 1919 წელს პირველ მაისს. კომუნისტ ახალგაზრდობისა კი იმავე წლის 5 მაისს, და მას შემდეგ ვაწარმოებთ ორგანიზაციულ და პარტიულ მუშაობას. არას დროს მას შემდეგ საერთო საქმეში უკან არ ჩამოვრჩენილვართ ყოველთვის მხარში უდგებით ჩვენს უფროს ამხანაგებს. საერთოთ შუხუთის თემის ახალგაზრდა კომუნისტთა იაჩეიკა ერთ ერთ მძლავრ იაჩეიკას წარმოადგენს. აუტანელი იყო ჩვენი მუშა-გლეხთა ახალგაზრდობისთვის არალეგალურათ მუშაობა მენშევიკთა რეჟიმის დროს, მაგრამ მაინც ვმუშაობდით საერთო საქმეზე. დღეს მთელი ჩვენი თემის პარტიული ახალგაზრდობა შეიარაღებულია და უფროს ამხანაგებთან ერთად იცავს მშვიდობიანობას და წესრიგს. უკვე შეუდექით კავშირის გაძლიერების საქმეს. მრავალი მუშა ახალგაზრდობა აცხადებს სურვილს კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირში ჩარიცხვისა და ამიერიდგან კიდევ უფრო გავაორკეცებთ ენერგიას და მთელი თემის მშრომელ ახალგაზრდობას დავრაზმავთ ჩვენი დროშის ქვეშ.

**იერ. რევაზაშვილი.**

---

**წერილი სიღნაღიდან**

ჯერ ისევ მენშევიკების ბატონობა, როცა სულს გვიხუთავდა და არ გვქონდა საშუალება ფართო პარტიული მუშაობა გვეწარმოებია, ველისციხეში მაშინაც არსებობდა მძლავრი პარტიული ორგანიზაცია, რომლის არსებობაც თავზარსა სცემდა მენშევიკებს. მაშინაც ჰყავდა ველისციხეს ძლიერი სულით დარაზმული მშრომელი ახალგაზრდობა და მით უმეტეს დღეს რა იქნება იგი, როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების სათავე მშრომელმა კლასმა აიღო ხელში და თვითონა სჭედავს თავის ბედს.

მე შემოვიარე თითქმის მთელი სიღნაღის მაზრა და არც ერთს ორგანიზაციას არ დაუტოვებია ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც — ველისციხემ. მაგრამ, ველისციხე ხომ მეორე ანაგაა!.. ანაგა კი ხომ აკვანია რევოლიუციის. სიღნაღის მაზრაში ანაგა იყო, რომ გზას უჩვენებდა მშრომელ ხალხს სინათლისაკენ!..

ანაგა იყო, რომ ცალ ხელში ნამგლით და მეორეში თოფით მოუწოდებდა მშრომელ ხალხს ბრძოლისაკენ!..

სამაგიეროდ ანაგაც იყო, რომ იგემა მენშევიკების „სახელოვანი“ გვარდიის ეგზეკუცია.

მაგრამ დაინგრა მენშევიკების ხუხულა და დღეს ანაგის მიდამოებში ფრიალებს წითელი დროშა—ემბლემა პროლეტარული რევოლიუციისა.

ერთი მხრივ თუ ასეთი მძლავრი ორგანიზაციები აქვს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირებს მაზრაში, მეორე მხრივ არიან სოფლები, სადაც არც-კი შეგვიხედია და არ გვიწარმოებია პარტიული მუშაობა. ეს სოფლები მიტოვებულია ღვთის ანაბარა, მიუხედავათ იმისა, რომ იქ არიან გაღატაკებული მშრომელი წრეები, რომელნიც ელიან ჩვენ დაძახილს.

ამისათვის კი სამაზრო კომიტეტს არ შესწევს ჯერ იმდენი ძალა და ღონე, რომ მარტო თავისი საკუთარი ძალებით შეიჭრას ყველგან და მოჰფინოს სოფლად კომმუნისტური იდეალები.

საჭიროა, რომ ცეკამ მოგვაწოდოს პროპაგანდისტები ფართო აგიტაციის გასაწევად ან და მოგვიწყოს მოკლე ვადიანი კურსები, რომელზედაც მოემზადებიან ამხანაგები პროპაგანდისტებად; მათი ნაკლულევანობაც ძლიერ აფერხებს ფართო პარტიულ მუშაობას.

ჯერ კი ვმუშაობთ იმ იმედით, რომ მამაცნი, ამაყნი გულადნი, მამაცთა საქმეს დავაგვირგვინებთ.

**ა. ტინელი.**

---

**დ. ცხინვალი.**

ცხინვალში დაარსდა ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია. ორგანიზაციაში ჩაეწერა 40-მდე მუშა და გლეხი. უმრავლესობა ოსებია. მუშაობა დიდის გატაცებით და ენერგიით სწარმოებს. ახლო-მახლო სოფლებში გაგზავნილია ამხანაგები, რომლებმაც უნდა შეაკავშირონ ოსეთის ახალგაზრდობა. მომუშავე ამხანაგები საჭიროებენ ინსტრუქციებს და ლიტერატურას.

---

**ქ. შულავერი.**

შულავერში ახალგ. მუშები დ გლეხები უკვე შეკავშირდენ. მათ დააარსეს ახალგ. კომუნისტთა ორგანიზაცია, რომელშიაც 60-მდე წევრი ითვლება. უმრავლესობა არის სომხები. მიღებულია ზომები, ახლო-მახლო სოფლებშიაც იქნას დაარსებული ასეთი ორგანიზაციები. დიდი მოთხოვნილებაა კომუნისტური ლიტერატურის.

---

**„კრასნი კოლოდეცი“.**

აქ ახალგაზრდა კომუნისტთა ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი შაბათობა. გადაწყვეტილი იყო, რომ სამუშაოზე უნდა გამოსულიყვენ 2 საათზე, მაგრამ ახალგაზრდებმა: ორგანიზაციის წევრებმა და თანამგრძნობებმა 12 საათიდან იწყეს თავის მოყრა. საინტერესო იყო. ყველას მხიარულება ეტყობოდა სახეზე, ყველა გატაცებით მუშაობდა. გააწყვეს და გაამშვენიერეს ახალგ. კომუნ. კავშირის სადგომი და მისი არე-მარე. განზრახული სამუშაოს შესრულების შემდეგ ამხანაგები სიმღერით დაიშალენ. საჭიროა ამ მაგალითს სხვა სოფლების ორგანიზაციებმა მიბაძოს და თვითონაც მოაწყონ შაბათობა თავის სოფელში და დაბა-ქალაქებში.

---

**ქ. ბათომი**

ბარცხანაში შესდგა უპარტიო ახალგაზრდების კრება, სადაც მომხსენებლათ გამოვიდენ ახალგ. კომ. კავშირის წევრები: ამხ. კალანდარიშვილი, კრავჩიკი და მაქაცარია. მოხსენება გააკეთეს შემდეგ თემაზე: „მიმდინარე მომენტი და ახალგ. კომუნ. კავშირის მიზანი და ამოცანები“, რის შემდეგ კრებამ დაადგინა მიესალოს საბჭ. სოციალისტ. საქართველოს რევკომს.

11 აპრ. შესდგა პირველი იაჩეიკის საერთო კრება ამხ. სანნიკოვის თავმჯდომარეობით. მოისმინეს მოხსენებები: ამხ. კრავჩიკისა: „მიმდინარე მომენტი და მსოფლიო რევოლიუციის განვითარება“, ამხ. ჩაიკოვსკის: „სამხედრო სავარჯიშო განყოფილების მოწყობა ბათუმში“, ამხ. ბარსკის: „მომავლი მუშაობის შესახებ ორგანიზაციებში“, ამხ. მამედოვის: „რუსეთის კომ. ახალგ. კავშირის მუშაობაზე“. მოხსენებებმა დიდათ დააინტერესა მსმენელები. სომხური კლუბის აუდიტორია გაჭედილი იყო კომუნისტური ახალგაზრდების კავშირის წევრებით.

---

ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობავ! თქვენს შორის მჭიდრო კავშირი უნდა სუფევდეს, რადგან თუ ვინიცობაა თქვენმა მტრებმა თავი წამოყვეს, ყველაზე უწინ თქვენ უნდა მოიმართოთ მათ წინაამდეგ მკვეთრი, სასიკვდილო მახვილი.

## მისალმებანი.

**მისალმება რევკომს.**

ქვიშხეთი. ქვიშხეთის ახალგ. კომუნისტური კავშირის, წევრების მრავალრიცხოვანი კრება რომელიც მოხდა 10 აპრილს, მიესალმება საქართველოს რევკომს, რომელიც ნამდვილი ინტერესების გამომხატველია საქართველოს მშრომელი ხალხის.

ჩვენ ახალგ. გლეხები ფიცსა ვდებთ, რომ ფხიზელ დარაჯათ დავდგებით მოპოებულ თავისუფლების და საბჭოთა წესწყობილებას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ძლევა მოსილ წითელ ჯარს!

მდივანი **ხებეშვილი**

**მისალმება ცენტრალურ კომიტეტს.**

ქვიშხეთი (გორის მაზრა), მრავალ-რიცხოვანი კრება ქვიშხეთის ახალგ. კომუნისტური კავშირისა და მისი ახლო მახლო სოფლებისა, მიესალმება საქართველოს ახალგ, მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის ცეკას და ვუსურვებს ნაყოფიერ მუშაობას ახალგაზრდობის საკეთილდღეოთ. ქვიშხეთის კომუნისტური ახალგაზრდობა იმედს გამოსთქვამს, რომ ცენტრალური კომიტეტი პირნათლათ შეასრულებს თავის მძიმე მოვალეობას საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობის მიმართ. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს.

მდივანი: **ხებეშვილი.**

---

სომხეთიდან შემდეგი მოსალმება მივიღეთ:

**საქართველოს ახალგ. კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს.**

მხურვალეთ მოგესალმებით განთავისუფლებული საქართველოს კომუნისტურო ახალგაზრდობავ, რომელსაც მაღლა გეჭირა წითელი დროშა შავი რეაქციის და საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიების—ქართველი მენშევიკების ბატონობის დროს. დაშნაკელთა კონტრ-რევოლიუციის ბრჭყალებიდან განთავისუფლებული სომხეთის ახალგაზრდობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მარტო პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით და ამიერ-კავკასიის ხალხთა მჭიდრო კავშირით მსოფლიო რევოლიუციის მეთაურ საბჭოთა რუსეთთან, შეიძლება აღდგენა კონტრრევოლიუციის მიერ დანგრეულ და დარბეული ქვეყნისა.

**სომხეთის კომ. ახალ. ცენტრ. კომიტეტი.**

## ფოსტა

**ყველა ორგანიზაციებს** გამოგზავნეთ წერილები, კორესპონდენციები ადგილობრივ მუშათა და ცხოვრებიდან.

**ამხ. ა. კ—ს.** ლექსები არ დაიბეჭდება, გამოგზავნეთ სხვა.

## განცხადებანი

**მზადდება დასაბეჭდათ შემდეგი ბროშურები.**

1) პროგრამა რ. ა. კ. კ.

2) წესდება.

3) ახალგ. კავშირების ამოცანები ლენინის.

4) რა არის ახალგ. კომ. კავშირი პოდვოისკი.

5) ბერლინის კონგრესი ახალგ. კომ. ინდისაშაცკინის.

# ცირკულიარი.

## საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყველა სამაზრო და ქუთაისის, ბათომის და ფოთის კომიტეტებს.

ამხანაგებო! ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა 12 მაისიდან ქ. თბილისში მოაწყოს თვიური კურსები აქტიური მომუშავეების მოსამზადებლათ. სათანადო პროგრამა უკვე გამოჰუშავებული არის, კურსებზე მსმენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 60 კაცს, მაზრები და ქალაქები გზავნიან კურსებზე კავშირის წევრებს, რომლებიც ეხლა არ ითვლებიან პასუხისმგებელ, აქტიურ მომუშავეებათ, მაგრამ ასეთებათ გამოდგებიან მომავალში.

**თითოეული მაზრა და ქალაქი გზავნის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოზურგეთის მაზრა | — | — | — | — | 3 | კაცს. |
| ზუგდიდის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| სენაკის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| შორაპნის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| ახალციხის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| გორის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| დუშეთის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| თიანეთის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| თელავის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| ბორჩალოს „ | — | — | — | — | 3 | „ |
| სიღნაღის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| თბილისის „ | — | — | — | — | 5 | „ |
| რაჭის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| ლეჩხუმის „ | — | — | — | — | 3 | „ |
| ქ. ქუთაისი და მისი მაზრა | — | — | — | | 5 | „ |
| ქ. ბათუმი და მისი ოლქი | — | — | — | | 3 | „ |
| ქ. ფოთი „ | — | — | — | | 1 | „ |
| | | | | სულ . . . | 56 | კაცი. |

კურსებზე გამოგზავნილი სათანადო მანდატებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი და გამოცხადდებიან ქ. თბილისში არა უგვიანეს 12 მაისისა ცენ. კომიტ. ბინაზე. მათ მიეცემათ ბინა და საჭმელი. საჭიროა შეძლებისამებრ გამოგზავნილ იქნას რუსული ენის მცოდნე.

ცენ. კომიტეტის მდივანი ბ. ძნელაძე.

პოლიტ. განმანათლებელი განყოფილების გამგის მაგიერ: **კ. ორაგველიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა